საერთო გაზეთი

№20 (431) • 24 მაისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ვახტანგ ხარჩილავა:

„რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება...“

რატომ იცავს სახელმწიფო მის მიერ მიღებული კანონებით ცილისმწამებლებს, უსინდისოებს, არაკაცებს და რატომ არ იცავს მათი შეტევისგან წესიერი მოქალაქეების ღირსებას?

საქართველოს მოქალაქეთა დიდმა ნაწილმა შეიძლება არც იცის, ვიღაცამ მაიმუნი რომ გიწოდოს, შენ კი, გაბრაზებულმა და შეურაცხყოფილმა, სასამართლოში უჩივლო შეურაცხმყოფელს, სასამართლო მას კი არ მოსთხოვს შენი მაიმუნობის დამამტკიცებელი დოკუმენტების წარმოდგენას, არამედ შენ მოგიწევს ცნობის მიტანა, რომ მაიმუნი არ ხარ.

იმდენად დიდი მაიმუნობაა ის, რაც ახლა ვთქვი, შეიძლება ვინმეს დაუჯერებლად მოეჩვენოს ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტს ვერსად წაუხვალთ — ეს ფაქტი კანონის სახით არის ჩამოყალიბებულ-ჩამოქნილი და ქართული მართლმსაჯულება დღემდე ამ კანონით მოქმედებს.

უფრო ნათლად რომ აგიხსნათ საქმის ვითარება, პირად მაგალითს მოვიშველიებ საილუსტრაციოდ.

ერთი ცნობილი ზონდერ-ჟურნალისტი, სახელგანთქმული და საყოველთაოდ ცნობილი სიცრუის მანქანა, რომელმაც ცილისწამება, ადამიანებისთვის ათასგვარი სიბინძურის დაბრალება და გავრცელება, პროფესიად გაიხადა, მაბრალებს, რომ ვინმე ნიკა აკობიამ „დამავერბოვკა“ და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის ხელწერილი დამაწერინა.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკა აკობიას საერთოდ არ ვიცნობ და არანაირი ხელწერილი არ დამიწერია, ის კი არა, საერთოდ არანაირი შეხება არ მქონია არასოდეს იმ სტრუქტურებთან, რომლებიც შეიძლება მოქალაქეთა „დავერბოვკება“-გადაბირებით იყოს დაკავებული, მე ახლა ცილისწამებისა და პატივისა და ღირსების შელახვისთვის ამ ჟურნალისტს რომ ვუჩივლო სასამართლოში, სასამართლო მას კი არ მოსთხოვს, წარმოადგინოს ჩემი „აგენტობის“ დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზეც მან მე აგენტი მიწოდა, არამედ მე გამხდის იძულებულს, მოვიტანო ცნობა, რომ აგენტი არ ვარ და არც არავის გადავუბირებივარ.

სასამართლო ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ ჩემი ინტერესი აქვს, არა, კანონი აიძულებს, ასე მოიქცეს, კანონი, რომელსაც, რაც არ უნდა იდიოტური და ცინიკური იყოს იგი, სასამართლო ვერ შეცვლის და ვერ გადააკეთებს.

კი, ბატონო, წავალ და მოვიტან მე იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც დადასტურდება, რომ არც აკობიას ვიცნობ და არც აგენტი ვარ, თუმცა შეიძლება ესეც არ აღმოჩნდეს საკმარისი, იმისთვის, რომ ცილისმწამებელმა პასუხი აგოს, რადგან კანონში იმდენი ხვრელი და „ლაზეიკაა“ დატოვებული მისი და მისნაირების დასახმარებლად, რომ, არ არის გამორიცხული, მან თავი დაიძვრინოს და მხოლოდ მსუბუქი წკიპურტით ზღოს დანაშაული.

ᲣᲘᲚᲘᲐᲛ ᲨᲔᲥᲡ�პᲘᲠᲘ

ᲡᲝᲜᲔᲢᲘ 66

ყველაფრით დაღლილს, სანაგრელად სიკვდილი დამრჩა,
რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება,
რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა,
რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება,
რადგან უღირსებს უსამართლოდ დააადგეს დაფნა,
რადგან მრუშობით შელახულა უმანკოება,
რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს,
რადგან ძლიერი დაიმონა კოჭლმა დროებამ.
რადგან უწმიდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს,
რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს აღვილად,
რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა,
რადგან სიკეთე ბოროგების ტყვედ ჩავარდნილა.
ასე დაღლილი, ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ,
მაგრამ არ მინდა, ჩემი საგრფო ობლად რომ დარჩეს.

ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ ეს პროცესი შეიძლება 2-3 წელი გაიწელოს, რაც იმას ნიშნავს, რომ, მე თუ სხვამ, ამ ხნის განმავლობაში ცილისმწამებლების მიერ მიწებებული იარლიყით უნდა ვიაროთ და საზოგადოებამ ალმაცერად და ეჭვით უნდა გვიყუროს.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲕᲭᲠᲐᲗ, ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ, ᲣᲡᲘᲜᲓᲘᲡᲝᲔᲑᲘᲡ, ᲣᲢᲘᲤᲠᲔᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ, ᲐᲠᲐᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ, ᲣᲮᲐᲛᲡᲔᲑᲘᲡ, ᲣᲖᲜᲔᲝᲔᲑᲘᲡ, ᲪᲠᲣᲞᲔᲜᲢᲔᲚᲔᲑᲘᲡ, ᲭᲝᲠᲘᲙᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔᲐ, ᲛᲐᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲤᲝᲤᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲛᲐᲗ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲗ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲬᲔᲡᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲡ.

კანონებს იმიტომ წერენ და იმიტომ აწესებენ, რომ ადამიანები დაიცვან მოძალადეებისგან, არაკეთილსინდისიერი და უზნეო პირებისგან, ჩვენს შემთხვევაში კი პირიქითაა ყველაფერი.

რა ჰქვია ამას?

რა ჰქვია და სიტყვის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიული პრინციპების დაცვა ჰქვიაო — გვეუბნება კანონის ავტორი და იქვე ადამიანის უფლებების უზენაეს პრინციპებზე მიგვითითებს.

ᲔᲕᲐ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ

კი, მაგრამ, ისინი, ვისაც ცილს სწამებენ, ჭორებს უვრცელებენ, ყოვლად უსაფუძვლოდ და უარგუმენტოდ ათას რაღაცას აბრალებენ, ადამიანები არ არიან და ადამიანები არიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ამ უმსგავსობებს სჩადიან?

გამოდის, რომ ეს კანონი, ფაქტობრივად, ორ კატეგორიად ჰყოფს ადამიანებს, რომლებიც ამ კანონის მიხედვით არათანაბარ მდგომარეობაში არიან — ერთ ნაწილს, სიტყვისა და გამოხატვის უფლებებზე აპელირებით, შეუზღუდავი უფლებები აქვს თავსლაფი ასხას მეორე ნაწილს, იმ მეორე, „თავსლაფდასხმულ“ ნაწილს კი კანონი ავალდებულებს ამტკიცოს, რომ თავზე ლაფის დასხმის ღირსი არ იყო, რადგან ღირსეული და წესიერი ადამიანია.

არ არის ეს დისკრიმინაცია?

რა თქმა ინდა,. არის, თუმცა გასაკვირია, რატომ დგას სახელმწიფო მის მიერვე მიღებული კანონებით ცილისმწამებლების, სხვისი პატივისა და ღირსების ხელმყოფი ადამიანების მხარეს და არა მათ გვერდით, რომლებიც ამ უმსგავსობის მსხვერპლნი ხდებიან?

ამ საკითხზე, რომლის გარშემოც მე, როგორც ამ საქმის არასპეციალისტი, შეიძლება ცოტა დილეტანტურად და ზედაპირულად ვსაუბრობ, აი, რას ამბობს **„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ“** მიცემულ ინტერვიუში (**„ერთსა და იმავე გადაცემაში დამაბრალეს, თითქოს მე დავწერე ის, რაც არ დამიწერია, ხოლო რაც ნამდვილად მე დავწერე, ის, თურმე, ბიძინა ივანიშვილმა დამიწერა“! — „ს.გ.“, #18, 2017წ.**) კვალიფიციური იურისტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ქალბატონი **ᲔᲕᲐ ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ**: **„დიახ, გადაცემა „რეაქციაში“ ინგა გრიგოლია მიკიჟინებდა, წადით და სასამართლოში გვიჩივლეთო... კი, წავალთ,**

3 ᲒᲕ. →

ქვეყანაში „ნაციონალების“ მიერ დაგეგმილი საბოტაჟი მძვინვარებს

„ქართულმა ოცნებამ“ დიდი შეცდომა დაუშვა „ნაციონალები“ რომ არ გაათავისუფლა სამსახურებიდან

გვესაუბრება ექსპერტი პოლიტიკის საკითხებში, CAUCASIAN & ASIAN CITIZENS-ის წარმომადგენელი, ბატონი გია კუჭავა.

— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს?

— წარმოიდგინეთ, რომ „ნაცმოძრაობა“ დღემდე აწარმოებს ჰიბრიდულ ომს არა ხელისუფლების, არამედ ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

მიტროპოლიტი აბრაამი

გავიხსენოთ ბათუმის მოვლენები. ეს იყო მართული ქაოსი, რასაც, ცხადია, წინაპირობები ჰქონდა. მავნე ძალები ამ ე. წ. „ქაოსს“ გარკვეული დროის განმავლობაში ამზადებდნენ.

სხვათა შორის, საპატრიარქოში ბოლო ხანებში განვითარებულ მოვლენებშიც ნაციონალების ხელს ვხედავ.

მათ წლების განმავლობაში ჰყავდათ იქ საკუთარი ხალხი, რომელთა საშუალებითაც საკუთარ ინტერესებს ახორციელებდნენ. თუმცა იქაც იყვნენ ადამიანები, რომლების მოსყიდვა, დაშინება და ა. შ. შეუძლებელი იყო.

ამიტომ ფარული სვლები დაიწყეს საპატრიარქოს და პატრიარქის წინააღმდეგ. **რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პატრიარქად ნაციონალებს მზად ჰყავდათ დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი, მეუფე აბრაამ გარმელია. ფლეულს იყო ზუსტად ის პერიოდი, როცა მეუფე აბრაამს შეეძლო პატრიარქის ტახტის დასაკუთრება.** მაგრამ, ამჯერად, ეს გეგმა ნაციონალებს ჩაეფუშათ.

მოკლედ, შიდა მტერი, „ნაცმოძრაობა“, პერმანენტულ, ჰიბრიდულ ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ.

— ბატონო გია, „ნაცმოძრაობა“ დაიშალა, დასუსტდა და ქრება. თქვენ ისევ მათგან მომავალ საშიშროებებზე საუბრობთ?

— გასაგებია, მაგრამ მათ ბრძოლა არ შეუწყვეტიათ. რაც ჩამოვთვალე, ყველგან მათი ხელი ურევია და ბიძინა ივანიშვილის მიზანმიმართული ლანძღვა-გინებაც შემთხვევით არ ხდება. ისინი ადამიანის, პიროვნების სახელის დისკრედიტაციით ცდილობენ მის მიერ მოყვანილი ხელისუფლების საქმიანობის ხელის შეშლას, სახელის გატეხვას შინ და გარეთ.

ხშირად გსმენიათ, ნაციონალები ამბობენ: საქართველოში დღეს ყველაფერი ერთი კაცის, ბიძინა ივანიშვილის ხუშტურებზე ხდებაო. ის ავიწყდებათ, 9 წელიწადი არანორმალური ააკაშვილის ხუშტურებსა და სიგიჟეებს რომ შეეწირნენ ადამიანები და შეეწირა ჩვენი ქვეყნის მომავალი. მაგათ ხმა არ აქვთ ამოსაღები. 2012 წელს რომ მიიღეს კონსტიტუცია, სწორედ ერთ კაცზე — ააკაშვილზე იყო მორგებული, მაგრამ მოვეშვათ ამასაც. დეზინფორმაცია, რომელიც აზროვნების მკვლელია, როგორც შხამი, სისტემატურად შეაქვთ მოსახლეობის გონებაში საინფორმაციო საშუალებებით. ხელისუფლებას ხელთ არ აქვს საინფორმაციო მანქანა, როგორც ბერკეტი, მოსახლეობას გააგებინოს საკუთარი ხმა და რა გამოდის? თქვენ ამბობთ, რომ „ნაცმოძრაობა“ აღარ არსებობს. კი, მაგრამ, სახელმწიფოში, სადაც თითქმის ყველა ელექტრონული საინფორმაციო არხი ერთი ორგანიზაციის ხელშია, თუნდაც ის დაყოფილი იყოს „გირჩებად“ თუ „ევროპულ დემოკრატებად“, ქვეყანაში, სადაც ბეჭდური მედიის დიდი ნაწილი, ერთი თუ ორი გამონაკლისის გარდა, „ნაცმოძრაობის“ ძუძუს რძით არის გამოკვებილი და გამძღარი და დღემდე ასე გრძელდება, ხელისუფლება, უბრალოდ, სულს როგორ ითქვამს, გასაკვირია.

ფაქტობრივად, ბეწვის ხიდზე გავდივართ.

— როგორც პოლიტოლოგი, პოლიტიკის თეორეტიკოსი, მიიჩნევთ, რომ შესაძლებელია „ნაცმოძრაობის“ კვლავ აღზევება და მათი ჰალსტუხისმჭამელი პრეზიდენტის კვლავ მობრუნება ხელისუფლებაში?

— ელემენტარულ მაგალითს მოვიყვან, გავიხსენებ პრეზიდენტ ნიქსონს, რომელმაც 1959 წელს კენედისთან „ორთაბრძოლაში“ წააგო, ვერ გახდა აშშ-ის პრეზიდენტი, შემდეგ ერთ-ერთი შტატის გუბერნატორად იყარა კენჭი და იქაც დამარცხდა, მაგრამ 1967 წელს მან საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო. ის მიზანმიმართული იყო.

„ნაცმოძრაობა“ და ააკაშვილი არ მალავენ, რომ სურთ ხელისუფლებაში დაბრუნება. მით უფრო, რომ მათ ხელში უდიდესი ფინანსური რესურსებია.

— თანაც მოსახლეობაში იზრდება ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება. კონსტიტუციაში ქართული მიწის უცხოელებზე გაყიდვის უფლების დეფინიციის შესაძლო გაჩენამ ხალხში დიდი პროტესტი გამოიწვია. ეს უნდა აშფოთებდეს, წესით, „ქართულ ოცნებას“.

— მე, ცხადია, წინააღმდეგი ვარ, საქართველოს მიწა უცხოტომელებზე გაიყიდოს.

კარგად მახსოვს ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი საადგილმამულო ბანკის შესახებ. შემთხვევით არ გაუკეთებია ეს იმ კურთხეულ ადამიანს.

გია კუჭავა

არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, ერთხელ საკაშვილმა პარლამენტის სხდომაზე თქვა: მე სავსებით მეყოფა მილიონნახევარი ადამიანი საქართველოში და თუ ქართველი გლეხი აქ თავს ვერ ირჩენს, გაყიდოს მიწა და წავიდეს საზღვარგარეთო. მაშინ დაიწყო ბურების ჩამოყვანის კამპანიაზე საუბრები — ქართველი გლეხი ზარმაციაო და ა. შ. მაგრამ გავიხსენოთ საბჭოთა პერიოდი. ყველას გვყავს ნათესავები სოფლად და მშვენივრად გვახსოვს, როგორ ცხოვრობდნენ ისინი საბჭოთა პერიოდში.

ქართველი გლეხი არასდროს ყოფილა ბოგანო, უპოვარი და უვარგისი.

პატრიარქმა თქვა ამასწინათ: სიღარიბე საშიშია იმდენად, რამდენადაც მან შეჩვევა იცისო. სიღარიბეს, გაჭირვებას, წუწუნს ვინც შეაჩვია ქართველი ხალხი, ისინი არიან, პირველ რიგში, დასასჯელი, თორემ ბიძინა ივანიშვილმა შეძლო ის, რომ გაგვათავისუფლა ააკაშვილის ტირანიისგან და გვითხრა: იშრომეთ, იბრძოლეთ უკეთესობისთვისო, თუმცა ხელისუფლებამ მეტად უნდა შეუწყოს ხელი მოსახლეობას.

გიგა ბოკერია

„ნაცმოძრაობის“ მამოძრავებელ ძალას, ამ წურბელების ბირთვს კარგად ეხსომება გასული საუკუნის ის პერიოდი, როცა მავნებლურად გაჭრეს არხები მოღალატე შევარდნაძის ხელშეწყობით და სოფლის მეურნეობის პროდუქტები, კვერცხი და ქათამიც კი უცხოეთიდან შემოჰქონდათ. დღემდე ასე აგრძელებენ, ამით ისქელებენ ჯიბეებს.

გასულ კვირას ბოკერიამ პირდაპირ თქვა — ქართული მიწა უნდა გაიყიდოსო.

„ნაცმოძრაობის“ დამრტყმელი ძალა ყველანაირი ზეწოლის ფორმებს მიმართავს, ამაში დასავლურ ძალებსაც იყენებენ და აიძულებენ ხელისუფლებას ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები მიიღონ.

„ქართულმა ოცნებამ“, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა, როცა ძალიან ბევრი ქვედა და საშუალო რგოლის ჩინოვნიკი დატოვა პოსტებზე. ისინი, უმეტეს შემთხვევაში, საბოტაჟს ეწევიან და ძირს უთხრიან ჩვენს სახელმწიფოს.

სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით კვლავ ვერ ჩამოყალიბდა აზროვნების კულტურა იმ დონეზე, რომ სახელმწიფო მოხელე ემსახურებოდეს სახელმწიფოს და არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, მმართველი პარტიაც რომ იყოს ის. თუმცა მე არ ვარ მომხრე, სამსახურებიდან ერთი ხელის მოსმით გათავისუფლდეს ყველა, მაგრამ ადამიანები, რომლებიც საბოტაჟს ეწევიან, გათავისუფლდნენ და უნდა დაისაჯონ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ევროკავშირში „გინდებლარიენ“? მიბაძეთ ვან დერ ბელენს!

ფოტოზე აღბეჭდილია ჭაღარათმიანი მამაკაცი. ის სამსახურში მიდის. ზურგჩანთა აქვს მოკიდებული, ხელში კი ლანჩი უჭირავს, რომ შესვენების დროს მიირთვას.

აქ თითქოს უჩვეულო არაფერია, მაგრამ ეს მამაკაცი ავსტრიის პრეზიდენტი ვან დერ ბელენი გახლავთ. ის მიდის მარტო, ყოველგვარი კორტეჟისა და დაცვის გარეშე, არავინ კეტავს ქუჩებს, არც აქეთ-იქით ყრიან ქუჩაში მოსიარულეებს.

ის მშვიდად და შეუმჩნევლად მიდის საკუთარი მოვალეობის შესასრულებლად და ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე წლიური შემოსავალი 47 188 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი 403 768 მლრდ აშშ დოლარია.

ხომ ძალიან გაგიკვირდებოდათ, მსგავსი სურათი საქართველოში რომ გენახათ?

ევროკავშირში გინდებლარიენ, ბიჭებო? მიბაძეთ მაშინ ვან დერ ბელენს!!

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი ჰრესის ჰრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

1 გვ.

მაგრამ რა დაგვხვდება იქ? სიტყვისა და გამოხატვის შესახებ ქართული კანონი შეუდარებლად დიდ უპირატესობას ანიჭებს გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის ღირსებასა და რეპუტაციასთან მიმართებაში. დიფამაციის საქმეებზე სასამართლოში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს, ანუ იმ პირს, ვის წინააღმდეგაც სავარაუდო ცილისწამება გავრცელდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორედ მან, ცილისწამების მსხვერპლმა, უნდა ამტკიცოს, რომ მის წინააღმდეგ გავრცელებული განცხადებები სინამდვილეს არ შეესაბამება. თანაც მან ეს უტყუარად უნდა დაამტკიცოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სარჩელს ვერ მოიგებს. შესაბამისად, წარმოიშობა სამართლებრივი პრეზუმფცია, რომ მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება ნამდვილია, სანამ თავად არ დაამტკიცებს, თანაც უტყუარად, რომ ისინი მცდარია. მარტივად რომ ვთქვათ, მან უნდა დაამტკიცოს, რომ არ არის ქურდი, ავაზაკი ან მეძავი და, სანამ არ დაამტკიცებს, არის ქურდი, ავაზაკი ან მეძავი. ამასწინათ გადაცემა „არჩევანში“ ნინო ჯანგირაშვილმა დამაბრალა, თითქოს მე დავუწერე ურთმელიძეს გადაწყვეტილება, ხოლო მეორე სტუმარი ზაზა ბიბილაშვილი კი საზოგადოებას არწმუნებდა, რომ განცხადება, რომელიც ჩემი სახელით გამოქვეყნდა, თითქოს მე კი არ დავწერე, არამედ ბიძინა ივანიშვილმა დამიწერა. ნახეთ: ერთსა და იმავე გადაცემაში დამაბრალეს, რომ ის, რაც ნამდვილად არ დამიწერია, თითქოს მე დავწერე, ხოლო რაც ნამდვილად დავწერე, ის მე არ დამიწერია. გამოდის, რომ მე სხვებს ვუწერ, სხვები კი მე მიწერენ. და, რას მთავაზობს ინგა გრიგოლია — ამ კანონის მიხედვით ვამტკიცო მე, რომ, რაც დავწერე, ის ნამდვილად მე დავწერე, ხოლო რაც არ დავწერე, ის არ დამიწერია? ესაა სამართლიანი და ნორმალური პროცედურა? ამგვარად, ჩვენში ადამიანის სახელი, ღირსება და რეპუტაცია, სამართლებრივად, ძალზე ცუდად არის დაცული. სხვათა შორის, მტკიცების ტვირთის ასეთი განაწილება ეწინააღმდეგება საერთო ევროპულ მიდგომებს, სადაც ეს ტვირთი მოპასუხეს, ანუ სავარაუდო ცილისწამების გამავრცელებელს ეკისრება. მან უნდა დაამტკიცოს, რომ, რაც თქვა, სინამდვილეს შეესაბამება, რათა საქმე მის სასარგებლოდ გადაწყდეს. ჩემი აზრით, ადამიანის პატივისა და ღირსებისადმი ისეთი დამოკიდებულება, როგორსაც სიტყვის თავისუფლების შესახებ ქართული კანონი ამკვიდრებს, არ შეესაბამება არც საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც ადამიანის პატივსა და ღირსებას „ხელშეუვალ“ უფლებად აცხადებს. ამ მიზეზთა გამო, აუცილებლად მიმაჩნია, რომ მტკიცების ტვირთი ცილისწამების საქმეებში მოსარჩელიდან მოპასუხეზე გადანაცვლდეს“.

როგორც ხედავთ, ქალბატონი ევას პოზიციას ზედმიწევნით ზუსტად ემთხვევა ჩემი მოსაზრებაც და იმ უამრავი ადამიანის მოსაზრებაც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეს კანონი აუცილებლად შესაცვლელია.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი კარგა ხანია, კატეგორიულად ითხოვს, რომ ეს ანტიადამიანური, ანტისახელმწიფოებრივი კანონი აუცილებლად საჭიროებს შეცვლას, დღემდე მაინც ვერ მოხერხდა ამ საკითხის მკვდარი წერტილიდან დაძვრა, მიზეზი ამისა კი, ალბათ, ის გახლავთ, რომ ვიღაც-ვიღაცებს ეშინიათ, ამ თემაზე რომ ხმამაღლა ვისაუბროთ, ვაიდა, ეს ყველაფერი სიტყვის თავისუფლების გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად ჩაგვეთვალოს და დავიღუპოთო.

* * *

დანამდვილებით ვერავინ იტყვის, ნამდვილად **ალენ დალესმა** (იგი 1953-61 წლებში აშს-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი იყო) დაწერა თუ არა ის დოქტრონა, რომელიც ალენ დალესის დოქტრინის სახელით არის ცნობილი.

„რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება...“

თუმცა, კაცმა რომ თქვას, არსებითი მნიშვნელობა არც აქვს იმას, კონკრეტულად ვინ დაწერა ეს ტექსტი, მთავარი ისაა, რომ მსოფლიოს მრავალ ენაზე გადათარგმნილი ეს ტექსტი არსებობს და კიდევ უფრო საოცარი და საკვირველი ამბავი — ბევრი რამ, რაც საქართველოში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ხდება, თითქოსდა ხდება ამ ტექსტში მოცემული სამოქმედო გგმის მიხედვით, იმდენად ემთხვევა ერთმანეთს ის, რაზეც ეს სატანისთვის სულმიყიდული ავტორი წერს და ის, რაც ამ ასევე სატანისტური შინაარსის და ქვეტექსტების შემცველ კანონში წერია.

„დამთავრდება ომი, ყველაფერი როგორღაც დალაგდება, მოეწყობა და ჩვენ მთელ ოქროს, მთელ მატერიალურ ძლიერებას გადავისვრით ხალხის გამოსათაყვანებლად. ჩვენ შეუმჩნევლად შევცვლით ნამდვილ ფასეულობებს სიყალბით და ვაიძულებთ მათ იწამონ ეს ყალბი ფასეულობანი. როგორ? ჩვენ ვიპოვით ჩვენს თანამოაზრეებს, ჩვენს თანამშრომლებსა და მოკავშირეებს... ერთიმეორეზე მიყოლებით გათამაშდება თავისი მასშტაბებით გრანდიოზული ტრაგედია ყველაზე უფრო ურჩი ხალხის დაღუპვისა და მისი თვითშეგნების საბოლოოდ ჩაქრობისათვის, ლიტერატურასა და ხელოვნებაში ჩვენ მათ თანდათან მოვუსპობთ სოციალურ არსს. ხელოვანთ ჩავუკლავთ მისწრაფებას — შექმნან სახეები, გამოიკვლიონ პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ ხალხთა მასების წიაღში. ლიტერატურა, თეატრი, კინო ადამიანის ყველაზე უფრო მდაბალი გრძნობების ამსახველი და გამავრცელებელი იქნება. ჩვენ ყველანი პირადად მხარს დავუჭერთ და შევაქებთ სექსის, ძალადობის, სადიზმის კულტს — ერთი სიტყვით, ყველაფერს ამორალურს... ჩვენ შეუმჩნევლად, მაგრამ აქტიურად და მუდმივად შევუწყობთ ხელს ჩინოვნიკების, მექრთამეების თავნებობას, უპრინციპობას; ბიუროკრატია აყვანილი იქნება სათნოების სიმაღლეზე... პატიოსნება და წესიერება გამასხარავებული და არავისთვის საჭირო აღარ იქნება. იგი წარსულის გადმონაშთად გადაიქცევა. უზრდელობა და თავხედობა, ცილისწამება და მაწანწალობა, ლოთობა და ნარკომანია, ცხოველური შიში ერთმანეთისადმი... უსირცხვილობა, ნაციონალიზმი და ხალხთა შორის მტრობა... ყველაფერი ეს ოსტატურად და შეუმჩნევლად იქნება კულტივირებული და აყვავდება მძაფრი ფერებით. მხოლოდ ზოგიერთნი მიხვდებიან და გაიგებენ კიდეც თუ რა ხდება, მაგრამ ასეთ ადამიანებს ჩვენ ჩავაყენებთ არამოდურ მდგომარეობაში და ქვეყნის სასაცილოდ გავხდით. მოვძებნით ხერხს, რომ მათ ცილი დასწამონ და ისინი საზოგადოების ნაძირალებად გამოაცხადონ. ჩვენ ვიბრძოლებთ ადამიანების გასარყვნელად ბავშობისა და ჭაბუკობის ასაკიდან. ყოველთვის გავაკეთებთ არჩევანს ახალგაზრდებზე, რომ მოვქრთამოთ და გავხრწნათ ისინი. ახალგაზრდობისაგან ჩვენ შევქმნით ჯაშუშებს, კოსმოპოლიტებს“.

მე მგონი, კომენტარი ზედმეტია!

როგორ ჰგავს აქ აღწერილი კოშმარული სურათი იმას, რაც საქართველოში „ნაცმოძრაობის“ დროს ხდებოდა და, ნაწილობრივ, დღესაც ხდება.



ალენ დალესი

დღეს გაპარპაშებული ზონდერჟურნალისტები, ნაციონალებთან ერთად, ალენ დალესის თუ მისი სახელით მოქმედი სხვა პირის სატანისტური გეგმის უშუალო შემსრულებლები და განმხორციელებლები არიან.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ ეს კანონი („საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“) სწორედ 2004 წლის 24 ივნისს შევიდა ძალაში მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერით.

ეს ზონდერჟურნალისტები სწორედ ამ კანონმა შვა და ისეთებად აქცია, როგორებიც დღეს არიან — არსებებად, რომლებსაც შუბლის ძარღვი აქვთ გაწყვეტილი.

ნაციონალები მათი ჯიბის ჟურნალისტები ტყუპისცალებივით ჰგვანან ერთმანეთს და ეს არ არის შემთხვევითი — ისინი, როგორც ჩანს, ერთსა და იმავე ლაბორატორიაში არიან ნაწრთობნი და დატრენინგებულნი.

ეს ის ლაბორატორიაა, სადაც საწვრთნელად შერჩეულ სუბიექტებს, პირველ რიგში, შუბლის ძარღვს ამოაჭრიან ხოლმე, რის შემდეგაც ისინი ადვილად ითვისებენ მთავარ პროფესიას, ცილისმწამებლის, დეზინფორმატორის, პროვოკატორის პროფესიას.

„არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა“ — ეს ათი მცნების მე-9 მუხლია, რომელსაც ზემოთნახსენები სატანური პროგრამის ცხოვრებაში განმხორციელებელი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი „ზონდერჟურნალისტი“ და „სპეცნაზელი“ წამდაუწუმ არღვევს, თუმცა, რომ ჰკითხო, ქრისტიანია, ეკლესიაში დადის, სანთლებს ანთებს და შეიძლება პირჯვარსაც კი იწერდეს.

როგორც ჩანს, მას ჰგონია რომ ყველას მოტყუება შეიძლება, მათ შორის, ღმერთისაც.

ცდებით თქვენ, ქალბატონო, ძალიან მწარედ ცდებით, რადგან არ იცით, რომ, როცა თავი გამარჯვებული გგონიათ, სწორედ მაგ „გამარჯვებით“ ხართ დამარცხებული...

კანონი, რომელიც ბოროტებას შობს და მერე ამ ბოროტებას იცავს, თავად არის ბოროტება.

ცილისმწამებლები ამ ბოროტი კანონის პირმშონი არიან და სანამ ეს კანონი ამ სახით და ამ ფორმით იარსებებს, ისინიც მუდმივად და მარად იარსებებენ, რომ ეს ქვეყანა საბოლოოდ აქციონ უზნეობით აყროლებულ ჭაობად.

ამიტომაც მოვუწოდებ ყველას — საზოგადოებას, ხელისუფლებას, საქართველოს პარლამენტს — შევცვალოთ ეს კანონი, გავათავისუფლოთ ადამიანები, გავათავისუფლოთ ქართული სახელმწიფო მუდმივი ფსიქოლოგიური ტერორის და შანტაჟისგან.

26 მაისი – ახალი საქართველოს დაბადების დღე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. 26 მაისს ჩატარდა ქვეყნის ისტორიაში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები და ხელისუფლებაში დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მოვიდა. 1991 წლიდან მოყოლებული, საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს.

რას ნიშნავს თქვენთვის 26 მაისი? — ამ კითხვით საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟს, ისტორიკოს კონსტანტინე გამსახურდიას მივმართეთ:

კონსტანტინე გამსახურდია

— ჩვენ 26 მაისს მაშინ ვზეიმობდით, როცა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ამ დღის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაბადების დღეს აღვნიშნავდით მერაბ კოსტავას სახლში, რომელიც ასევე, 26 მაისს დაიბადა.

— ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცხადებულ რეფერენდუმზე საქართველოს დამოუკიდებლობას აფხაზეთისა და ცხინვალის მოსახლეობის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. შემდეგ რა მოხდა, რატომ დაადანაშაულეს საქართველოს პირველი პრეზიდენტი ეროვნულ უმცირესობათა დევნასა და შევიწროვებაში?

— აფხაზები და ოსები ნამდვილად არაფერ შუაში არიან. ეს იყო კრემლის იმპერიული ელიტის მიერ აგორებული შავი პიარი, რომელიც იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ დღემდე საოცარი ინტენსივობით მოქმედებს მთელ მსოფლიოში. ეს იყო გამძვინვარებული ელიტის რეაქცია იმაზე, რომ საქართველომ და ბალტიისპირეთმა ჩამოშალეს საბჭოთა კავშირი.

— საბჭოთა კავშირის ჩამოშლამ თუ მოგვიტანა ის შედეგი, რისი მოლოდინიც გვქონდა?

— ქვეყანას პოლიტიკური და ადმინისტრაციული მონობა მოშორდა, ეს პატარა საქმეა? დღეს ადამიანები ეკონომიურად არიან დამონებულები და ეს საკითხიც რომ გამოსწორდეს, სრული თავისუფლება გვექნება.

— მძიმე დემოგრაფიულ მდგომარეობასა და მიწის თემაზე ატეხილ დავიდარაბაზე რას იტყვით?

— ეს მხოლოდ ეკონომიკური მდგომარეობის ბრალია. საქართველოში არაფერი იწარმოება და სამუშაო ადგილები არ იქმნება. დაუსაქმებელი ხალხი კი ყველაფერს გაყიდის, მიწა იქნება თუ უძრავ-მოძრავი ქონება. ზუსტად აქ არის ძაღლის თავი დამარხული.. მდიდარი და შეძლებული ქვეყნიდან საქართველოში არავინ ჩამოვა. ისეთი ქვეყნიდან ჩამოვლენ, სადაც ომი და გაჭირვება მძვინვარებს. ჩვენ უნდა ავიღოთ იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც მიწას განსაკუთრებით უფრთხილდებიან. თუნდაც, შვეიცარიის ან დანიის კანონმდებლობა გადმოვიტანოთ და საქართველოს სიტუაციას მოვარგოთ.

— როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვს ქართველერს? ემუქრება თუ არა ქართულ გენოფონდს გაქრობის საფრთხე, როგორც გაერომ ივარაუდა და მოვახერხებთ თუ არა ეკონომიკური პრობლემების დაძლევას?

— მე არც ვანგა გახლავართ და არც ასეთ პროგნოზებზე ვმუშაობ. პროგნოზებს ჭირდება საკმაოდ სერიოზული მონაცემები, რომლებიც ჩვენ არ გვაქვს და არც არავინ მოგვცემს. არც ასე კატასტროფული მგონია სიტუაცია, თუმცა, ძალიან სერიოზულად დასაფიქრებელია და ძალიან ბევრი რამ არის გადასასინჯი. სახელმწიფო სახელმწიფოს თუ არ დაემსგავსა, სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდებით.

— პროკურატურაში, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეზე მიმდინარე გამოძიებაში ახალი ხომ არაფერია?

— არაფერი. საქმე გადაკვალიფიცირდა, მაგრამ ამ ეტაპზე „გაყინულია“ და ადგილიდან არ იძვრის. ქვეყანაში შევარდნაძის პოლიტიკურ-ფინანსური ელიტის ბევრი წარმომადგენელი დაბრუნდა და ისევ აღზევდა. ამის გარდა, ამ მკვლელობაში რუსული კვალიც იკვეთება და არაპროფესიონალებს, რომლებიც ქვეყანას მართავენ, ჰგონიათ, რომ საქმის გამოძიებით რუსეთთან ურთიერთობა გაუფუჭდებათ. ამიტომ ამ საქმის გამოძიება ხელს არ აძლევთ..

* * *

როგორ დაადეს საკუთარი დაბადების დღეზე ბორკილები და რატომ ახსოვს განსაკუთრებულად 1994 წელის 26 მაისი? „საერთო გაზეთს“ ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი და „ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერი თამარ დადიანი ესაუბრა:

— საქართველოს დამოუკიდებლობის დღე ჩემთვის და ყველა ქართველისთვის გამორჩეული დღეა, რომელსაც განსაკუთრებულ დატვირთვას მატებს ის ფაქტი, რომ 26 მაისს საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა დაიბადა. 1994 წელს, 26 მაისის საზეიმო ღონისძიებებზე ედუარდ შევარდნაძეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი ესტუმრა. ამ

თამარ დადიანი

დროს ჩვენ რუსთაველის გამზირზე დიდი აქცია გვქონდა - კანონიერი ხელისუფლების სამხედრო გადატრიალების გზით დამხობას ვაპროტესტებდით. შევარდნაძე მსოფლიოს უმტკიცებდა, რომ ზვიად გამსახურდიას მომხრე არ ჰყავდა, რომ ზვიადის მომხრეები გაჩერდნენ და ა.შ. ამიტომ, გენშერს რომ არ გაეგო, რომ აქ პოლიტიკური გამოსვლები იყო, პოლიცია მოგვისია და ხალხი ძაღლებს დააგლეჯინა. მეც 26 მაისს ვარ დაბადებული და საკუთარი დაბადების დღე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება, თანამოაზრეებთან ერთად, პოლიციის სამმართველოს შენობაში გავატარე.

— დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე რას გვეტყვით? გულწრფელად მითხარით, დღევანდელი საქართველო იყო ის, რისთვისაც ეროვნული მოძრაობა იბრძოდა?

— ეროვნულმა მოძრაობამ და საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მოახერხა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, შემოიღო პრეზიდენტის ინსტიტუტი და ქვეყნანა კოლონიალური მდგომარეობიდან გამოიყვანა, მაგრამ ამისთვის დაისაჯა. ეროვნული მოძრაობა 1991 წლის 22 დეკემბერს დახვრიტეს, რითაც საქართველომ გარკვეული დროით დაკარგა ღირსება. პუტჩისტებმა საქართველო ღირსებააყრილ ქვეყნად აქციეს და რა თქმა უნდა, ეს ის საქართველო არ არის, რომლისთვისაც ეროვნული მოძრაობა იბრძოდა. რაც მოხდა, ედუარდ შევარდნაძისა და რუსული აგენტურის დამსახურებაა. ფულისა და უზრუნველი ცხოვრების გამო, ადამიანებმა სამშობლოს ინტერესები გაყიდეს. უმეტესობა უშიშროებამ გადაიბირა და ფაქტობრივად, ზვიად გამსახურდია მარტო დარჩა.

— გამოდის, რომ ეროვნულ მოძრაობას მოუსყიდავი და პატიოსანი ადამიანების დეფიციტი ჰქონდა?

— ბატონ ზვიადს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა იმისთვის, რომ კადრები შეერჩია, თუმცა მოუსყიდავი და პატიოსანი ადამიანები ეროვნულ მოძრაობაში დღემდე არსებობს. ესაა ხალხი, რომელთა მოსყიდვა უშიშროებამ ვერ მოახერხა, ამიტომ ისინი „ზევით“ არ აუშვეს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეროვნულმა მოძრაობამ საბჭოთა ეპოქაში მოახერხა კომუნისტური პარტიისთვის არჩევნების მოგება და პარლამენტში დიდი ქვოტით შესვლა. ჩვენ ეს ომი მოვიგეთ და ახალ აზროვნებას ჩავუყარეთ საფუძველი. მიუხედავად სირთულეებისა, რომლებიც ქვეყანამ გაიარა, ჩვენ მაინც გამარჯვებულები ვართ! დაცემას ყოველთვის ადგომა მოჰყვება და დაღმართს აღმართი, ამიტომ მჯერა, რომ ქართველი ერი საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებს, ტერიტორიებიც დაბრუნდება და ქართველობა აღსდგება!

ნელი თორდია
571 35 36 88

გრიგოლ გაგნიძე:

სანქციები მხოლოდ მოსამართლეების კი არა, პროკურორების, პოლიციისა და ადვოკატების ლანძღვაზეც უნდა დაწესდეს

გვესაუბრება ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ხელმძღვანელი, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე

— ბატონო გრიგოლ, როგორია თქვენი აზრი მოსამართლეების უვადო დანიშვნასთან დაკავშირებით, რა პოზიტიური შედეგები და რა საფრთხეები შეიძლება მოიტანოს მსგავსმა დანიშვნებმა?

— მე, როგორც ადვოკატი, უფლებადამცველი, არა ვარ მომხრე მოსამართლეები პოსტებზე უვადოდ დაინიშნონ, რადგან, მოგეხსენებათ, ჩვენს რეალობაში ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, ძნელია მოისპოს ნეპოტიზმი, კორუფციის რისკები. სამწუხარო ამბავია, მაგრამ განსაკუთრებით ხშირია ასეთი შემთხვევები ჩვენს რეალობაში. ეს მეტადრე თვალშისაცემი ხდება სასამართლო სისტემაში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ ინიშნება უვადოდ.

სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში ასახულია, რომ კონკრეტული მოსამართლის მიერ გამოტანილმა განაჩენებმა გარკვეული ჩრდილი მიაყენა ადამიანის უფლებებს და ევროპულმა სასამართლომ საქართველოს ხელისუფლების მიმართ საჯარიმო სანქციები გაატარა. გვაქვს მსგავსი პრეცედენტები 2008-12 წლებში.

გამოდის, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები მხოლოდ „გულის მოფხანაა“ და მეტი არაფერი დაზარალებული ადამიანებისათვის და უფლებადაცვის სფეროში მომუშავეთათვის, ვისთვისაც ესოდენ მნინელოვანია ზეჰუმანური ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. ქვეყანა ვერ განვითარდება, თუკი მოსახლეობაში, ხალხში, სამართლიანობის განცდა არ იარსებებს, ამაზე კი სასამართლო ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს.

— ბატონო გრიგოლ, აღვირასხსნილი ცილისმწამებლური ლანძღვა-გინება, რამაც ფეხი მოიკიდა ჩვენს საზოგადოებაში და განსაკუთრებით სასამართლო სისტემაში, უფრო მეტად ხომ არ აზიანებს ჩვენს მართლმსაჯულებას?

— როგორც ვიცით, ახლახან იუსტიციის საბჭო გამოვიდა ინიციატივით, რომ სრულად თუ არ აღმოიფხვრება, დასაწყისისთვის მაინც შეიზღუდოს მოსამართლეთა ლანძღვის არასტანდარტული, სამარცხვინო პრაქტიკა და მსგავსი ქმედებები დასჯადი გახდეს.

მოსამართლეთა მიმართ უპატივცემულო მიმართვები წინა რეჟიმის მმართველობის დროსაც ხდებოდა, თუმცა იუსტიციის საბჭოს ბოლოდროინდელი ინიციატივის მსგავსი წინადადება მაშინ არავის წამოუყენებია.

სს კოდექსი ითვალისწინებს მოსამართლეების დაცვის ბერკეტებს არა მხოლოდ სასამართლო დარბაზში, არამედ სამსახურს გარეთ, პატიმრობასაც ითვალისწინებს მოსამართლეებზე შეურაცხყოფა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მიაჩნიათ, რომ არ არის საკმარისი და იუსტიციის საბჭომ დამატებითი სანქციები მოითხოვა. როგორც ჩანს, საჭირო გახდა დაცვის მეტი ბერკეტის ამოქმედება. მე თუ მკითხავთ, ეს ლეგიტიმურია, მაგრამ არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი ასე არ ფიქრობს.

საქმე ისაა, რომ საკითხი დგას ასე — სად გადის ზღვარი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და მოხელეების უფლებებს შორის?! ევროპულ პეცედენტულ სამართალსაც უჭირს ამ ზღვარის დადგენა, მაგრამ, კიდევ ერთხელ მოვიშველიებ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას — საჯარო მოხელეები უნდა შეეგუონ იმას, რომ დაექვემდებარინ საჯარო კრიტიკას, განსაკუთრებით მედიის მხრიდან.

მაგალითად თუნდაც, მძიმე დანაშაულების შემთხვევაში განსაკუთრებით მძიმე განაჩენები როცა დგება, დამნაშავის ოჯახის უკმაყოფილო წევრმა ან ნათესავმა მოსამართლეს შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენოს. რა ვქნათ, გამწარებული ოჯახის წევრებიც დავიჭიროთ?! მოკლედ, თავსატეხი დილემის წინაშე ვართ და სპეციფიკური მიდგომა სჭირდება ამ საკითხს. თუ ასე დაისმება საკითხი, მიმაჩნია, რომ სანქციები უნდა დაწესდეს პროკურორებისა და ადვოკატების შეურაცხყოფის შემთხვევაშიც.

— მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში თუ არსებობს, თუ მხოლოდ საქართველოში წარმოიშვა ასეთი პრობლემა?

— 1997 წლის 24 თებერვალს ევროპულმა კონვენციამ დააფიქსირა აზრის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევის შემთხვევა და ბელგიელ ჟურნალისტს ჯარიმა დააკისრა იმის ასანაზღაურებლად, რა ზიანიც მიაყენა მან რამდენიმე მოსამართლეს.

სტრასბურგის სასამართლომ მერე დაადგინა, რომ ჟურნალისტმა გამოთქვა მოსაზრება, რომლის ჭეშმარიტება ექვემდებარება მტკიცებას, ანუ საკითხი იდგა ასე — მე კი არ ვიცი, რომ ეს მოსამართლე მონაა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ის არის მონა. ხედავთ, ხომ, განსხვავებას?!

ჩემი აზრით, ალბათ, იუსტიციის საბჭო გაიტანს თავის ინიციატივას, მაგრამ ამის დამტკიცებას წინააღმდეგობები მოჰყვება პარლამენტში, ვინაიდან, სავარაუდოდ, მხოლოდ მოსამართლეებზე ასეთი ტიპის აკრძალვის შემოღება ტენდენციური იქნება. დისკრიმინაციული მიდგომა რომ არ იყოს, მაშინ გამოდის, როგორც ვთქვი, პროკურორებზეც იგივე აკრძალვა უნდა გატარდეს, ადვოკატებზეც და თვითონ პარლამენტარებზეც, მერე, შეიძლება, პოლიციამაც მოითხოვოს. ამიტომ ვამბობ, ეს ძალიან რთული, სპეციფიკური და, რა თქმა უნდა, სენსიტიური საკითხია და მეტი პასუხისმგებლობით განხილვასა და მუშაობას საჭიროებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მნიშვნელოვანია, საზოგადოებასა და პარტიებს შორის კონსენსუსი იქნას მიღწეული

ეს ნამდვილად არის წინადადგმული ნაბიჯი და თუ თქვენ შეძლებთ საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევას სხვადასხვა საკითხზე, ვფიქრობ, რომ იქნება ძალიან კარგი კონსტიტუცია, - ამის შესახებ ვენეციის კომისიის მდივანმა, თომას მარკერტმა დღეს, ბერლინში განაცხადა, სადაც საქართველოს კონსტიტუციური პროექტს განიხილავენ.

„როგორც იცით, ვენეციის კომისია დასკვნას 16 ივნისს მოამზადებს. ჩვენ ძალიან პოზიტიური დამოკიდებულება გვაქვს მთლიანი პროცესის მიმართ. ვფიქრობთ, რომ ახალი კონსტიტუცია იქნება წინგადაგმული ნაბიჯი. მნიშვნელოვანია, რომ იყოს კონსესუსი საზოგადოებასა და პოლიტიკურ პარტიებს შორის, რათა ახალი კონსტიტუცია გრძელვადიანად მოქმედი იყოს“, - განაცხადა თომას მარკერტმა.

რაც შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესსა და მანდატების განაწილების სისტემას, ვენეციის კომისიის მდივანმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, აღნიშნულ საკითხებზე კონსენსუსი იქნას მიღწეული.

„ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხებზე კონსესუსი იქნას მიღწეული. უნდა აღვნიშნოთ, ისიც, რომ მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები პირდაპირი არჩევნების წესით ჩატარდება, რაც, ვფიქრობ, რომ კომპრომისისთვის მზაობას აჩვენებს. რაც შეეხება მანდატების გადანაწილებას, დისკუსია ისევ გრძელდება და ვფიქრობ, რომ უნდა გავითვალისწინოთ მოქმედი უმრავლესობის მზადყოფნა, რაც ძალიან პოზიტიური ნიშანია“, - ამბობს თომას მარკერტი.

მურთაზი და ნონა – „ნაცმოძრაობის“ ზოოპარკის ბინადრები

საზოგადოების ნაწილს დღემდე აწუხებს კითხვა - რატომ გააჩნიათ ნაცებს დღემდე მყარი კავშირები ევროპის პოლიტიკოსებთან? რა იმუნიტეტი იცავს ამ დამნაშავეთა ხროვას, რომ ხუთი წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა მათი დასჯა, ან რა ჰქვია, დიპლომატიურ ენაზე, იმ ურთიერთობას, როცა ძებნილ ექსპრეზიდენტს „მეგობარ“ ქვეყანაში ჯერ გუბერნატორად ნიშნავენ, შემდეგ კი „ტელეჟურნალისტიკაში“ უჩენენ ადგილს და მის კრიმინალ „შნირებს“თანამდებობაზე ტოვებენ?

კითხვები უამრავია დაგროვილი, თუმცა სწორი პასუხის გამცემი და ქვეყნის მოჯადოებული წრიდან გამოყვანის მსურველი არ ჩანს. არადა, ცოდვით დამძიმებული, ჩამქრალი, „ვარსკვლავები“, ცის კაბადონზე აჭრას ცდილობენ. ხალხი დაიღალა, „პაპა კარლოს“ თუ „პაპა ჯონის“ მიერ შექმნილი, არცთუ სიმპატიური, თანაც უგოიმესი, თოჯინების მიერ, უნიჭო სამთავრობო თუ სახელისუფლებო სპექტაკლების ცქერით, რომლებიც ერთი და იგივე თამაშს თამაშობენ და ველარც თამაშობენ...

ბათუმში, სტრასბურგის ევროპული სასამართლოს მოსამართლის ნონა წოწორიას ძმის სახლი გაჩხრიკეს და პისტოლეტი ორასოცდაშვიდი ვაზნით ამოიღეს. ჩხრეკა კანონის სრული დაცვით ჩატარდა თუმცა ნონა წოწორიამ, განაცხადა, რომ - „აქვს საფუძველი იფიქროს, მისი ძმის სახლში ჩატარებული ჩხრეკა უკავშირდება მის საქმიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში“. ამ განცხადებამ გამახსენა „შორეული“ წარსულიდან ირინა იმერლიშვილის ძმის დაკავების ფაქტი. მისი ძმა ყველამ იცოდა „რა ჩამოსხმაც“ იყო, მაგრამ როცა ძმის დაკავების ოპერაციის შემდეგ სააკაშვილმა განაცხადა რომ იმერლიშვილის ძმა პოლიტიკური ნიშნით დააკავეს, ხალხმა ეს დაიჯერა.

ნონა წოწორიას ძმის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე, მეორე დღეს შეწყდა, საფუძველი კი, ოპერატიულად ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა აღმოჩნდა, პისტოლეტი თურმე, კუსტარული წესით იყო დამზადებული და თან უვარგისიც ყოფილა. აი, ტყვიები კი სიმამრს ეკუთვნოდა, რომელიც მიმდინარე თვეში გარდაცვლილა. აიიი, როგორი ევროპული ჩახვეული სამართალია დღეს საქართველოში. საინტერესოა, ნონა წოწორია ადეიშვილის მარჯვენა სისხლიანი ხელი რომ იყო, მაშინ თუ გაიზიარებდა ასეთ სუსტ არგუმენტს, რაც მისი ძმის შემთხვევაში პროკურორმა „გადაყლაპა“? რათქმაუნდა, არა! მეტიც, დაკავებულს კარგა ხნით ახეხინებდა ციხეს, სოლიდურ თანხასაც ჩაარიცხიებდა ანგარიშზე (რომელიც დღემდე უცნობია ვის ჯიბეში ილექებოდა) და თუ დაჭირდებოდა მკვდარ სიმამრსაც ამოიღებდა საფლავიდან და აალაპარაკებდა - ჩვენებას მიაცემინებდა, სასამართლოზედაც გამოიძახებდა მოწმედ.

როგორც ჩანს წოწორიას ოჯახის წევრებიც ფიქრობენ, რომ მთელი საქართველო ვალში ვართ მათთან, აი რა სტატუსი „გამოაცხო“ნონას დამ ეთომ სოციალურ ქსელში-...“მე როგორც ნონას დას და ოთოს დას მიჩნდება პროტესტი საქართველოს შვილი მერქვას, პატიოსანი და მშრომელი ხალხი თუ ასეთი ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდება, რომელ სამართლიანობაზე და მითუმეტეს სამართლიანობის აღდგენაზეა ლაპარაკი ჩვენს ქვეყანაში?!

ჩემო დაო!!! საქართველო და ქართველები არ ყოფილან შენი შრომის ღირსები და ღმერთს ვთხოვ შენი ყოველი გათენებული ღამე ამათ ძმრად ამოდინდეთ და არ შეერგოთ სავარძლებში თბილად ჯდომა!!!“

მართალია, ქ-ნი ეთო ნამდვილად არ უნდა იყვნენ ქართველების სისხლში გასვრილი ნაცპერსონები ამ ქვეყნის შვილები და საერთოდ უნდა მოიკვეთონ ამ ქვეყნიდან...

არქივიდან: „სანამ გირგვლიანების მთელი ოჯახი, ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძე, სულხან მოლაშვილი და სხვები არ გარდაიცვალნენ, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მათ მიერ წლების წინ შეტანილ საჩივრებზე გადაწყვეტილება არ გამოიტანა. ამ დროს დიდი ლოდინი არ დასჭირვებია ვანო მერაბიშვილს. სირცხვილია, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში იყოს ადამიანი, ვინც ამტკიცებდა სააკაშვილის ჯალათურ სისტემას“, - აცხადებდა უფლებათადამცველი მჟავანაძე.

ნონა წოწორია ჯერ ადეიშვილის მოადგილე იყო, მისი პროკურორობის დროს და 2007 წელს, შეცვალა გვარამიამ. შემდეგ ადეიშვილმა და მაშინდელმა ხელისუფლებამ ჩუმად შეაპარა სტრასბურგის მოსამართლეთა სიაში, ისე რომ სანამ არ დაინიშნა, არავის ამქვეყანაში ეს ამბავი არ გაუგია. 2008 წელს გავრცელებულ ინფორმაციაში, “ვიკილიქსში”, სათაურით “ვინ მართავს საქართველოს” ნონა წოწორია მოხსენიებულია როგორც ადეიშვილის მარჯვენა ხელი. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ საქართველოდან გაქცეული ადეიშვილი წოწორიას ბინას აფარებდა თავს სტრასბურგში. სწორედ ნაცმოძრაობის წინაშე ანგარიშვალდებული ნონა წოწორია იღებდა მონაწილეობას გვამების დამკვეთ-მოყვარულ ,მერაბიშვილის საქმეში და შედეგიც წინასწარ იყო ცნობილი, 2011 წელს სტრასბურგის სასამართლომ გირგვლიანის უმძიმეს დანაშაულზე ამხილა მაშინდელი ხელისუფლების ყველა შტო ხმაშეწყობილი მოქმედებისთვის, სწორედ ნონა წოწორია იკავებდა როცა ეს ამაზრზენი დანაშაული მოხდა ერთ-ერთ წამყვან თანამდებობას მთავარ პროკურატურაში და ყველასთვის ცნობილია მერაბიშვილის ფაქტორიც გირგვლიანის საქმეში. არადა,ზურა ადეიშვილის ერთი ყოფილი მოადგილე - ოთარ კახიძე - მერაბიშვილის ადვოკატი გახლდათ, მეორე ყოფილმა მოადგილემ ნონა წოწორიამ, რომელიც დღეს მოსამართლეა, შეითავსა მერაბიშვილის მეორე ადვოკატის როლი და დაიცვა მერაბიშვილის ინტერესები, როგორც მოიქცა გირგვლიანის (და არამარტო) საქმესთან დაკავშირებით, ჯერ საქართველოში და მერე უკვე სტრასბურგში დანაშაულებრივი რეჟიმის დასაცავად... დიახ, მერაბიშვილის საქმე, სხვა მოსამართლეებთან ერთად, სწორედ მერაბიშვილისა და ადეიშვილის კადრმა ნონა წოწორიამ განიხილა. წოწორიას სტრასბურგში ვადა წელს ეწურება, ამიტომ ჩვენ შესაძლოა ვიხილოთ გამამართლებელი გადაწყვეტილებები ნაცმოძრაობის სხვა წევრთა საქმეებზე, რადგან წოწორია პირველრიგში სწორედ ამ საქმეებზე „იზრუნებს“. მერაბიშვილის ადვოკატის თქმით, ყოფილი პრემიერი არც ერთ წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. მართალია, არც კვარიათის აგარაკის მითვისებას აღიარებს, თუმცა ეს სახლი მის განკარგულებაში რომ იყო, ამის შესახებ მთელმა საზოგადოებამ იცის და კვარიათის მაცხოვრებლებიც ადასტურებენ. ისინი ხშირად ხედავდნენ ულამაზეს ადგილას დასასვენებლად ჩასულ მერაბიშვილსა და მის მეუღლეს. ვანოს როცა ეს ადგილი უნახავს, აღფრთოვანება ვერ დაუფარავს და უთქვამს, ეს სახლი ჩემი უნდა გახდესო და ხელსაც ვინ შეუშლიდა? კვარიათის სამსართულიანი სახლის მეპატრონე ზურაბ ლობჟანიძე გააკულაკეს, დაუსწრებლად რვა წელი მიუსაჯეს, მის სიდედრსაც დაუსწრებლად გამოუტანეს განაჩენი. მართალია ლობჟანიძემ გადაწყვეტილება სტრასბურგში გაასაჩივრა, მაგრამ იქ, ნაციონალების დამცველი წოწორია „აკონტროლებს სიტუაციას“და მხოლოდ სექტის ინტერესებს იცავს.

კვარიათის აგარაკის მეპატრონეს ლობჟანიძეს აგარაკიც წაართვეს და სასჯელიც დაუსწრებლად შეუფარდეს სამართალს სტრასბურგამდე საქართველოშიც უშედეგოდ ეძებდა. „მთავარ პროკურორს, მურთაზ ზოდელავას, იუსტიციის მინისტრს, ზურაბ ადეიშვილს უშედეგოდ ვწერდი საჩივრებს. მერაბიშვილი მოლაპარაკებას ცდილობდა. მოითხოვდა, სახლი ჩემი ნებით დამეთმო, და სანაცვლოდ, საქმის შეწყვეტას მპირდებოდა. ერთხელ მოსალაპარაკებლად მეუფე პეტრეც კი მომიგზავნეს.“აღნიშნულ პერიოდში უამრავი ქონება წართმეული, სიცოცხლეწართმეული, ცხოვრებაწართმეული და გაუბედურებული ადამიანი ეძებდა სამართალს, მაგრამ ამ გადასახედიდან ცოტა უცნაურიცაა, რომ პროკურატურაში შეტანილი საჩივრით მაშინ სასურველი შედეგის დადგომას ელოდნენ... მურთაზ ზოდელავა განსაკუთრებით დეფექტიანი თოჯინა გამოუვიდათ მის შემქმნელებს. დანაშაულის განცდა რასაკვირველია არ ექნება უსულო არსებას, მაგრამ როგორც ჩანს გულმავიწყიცაა და ფიქრობს ხალხსაც დაავიწყდა ყველაფერი და დღეს მაღალფარდოვანი სიტყვებით, სხვების „მხილებით“ცდილობს წაშალოს თავის წარსულის სისხლიანი კვალი, გადაცემა არჩევანში ზოდელავამ ბრძანა- „... ფარცხალაძის გავლენა, ეს არის ივანიშვილის გავლენა, რომელიც დელეგირდა მასთან, რომ მან მართოს სამართალდამცავი სისტემა“. საინტერესოა ზოდელავა ვისი გავლენით „აპრავებდა“ზურაბ ჟვანიას მკვლელობას ან ვისი გავლენით ანადგურებდა ოპოზიციურ მედიას, ართმევდა ქონებას, ფარავდა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს. ხშირ შემთხვევაში უშუალოდ მონაწილეობდა არამართლზომიერ ქმედებაში. აი რას ამბობს მის შესახებ

ნონიკაშვილი- „შევედი ამირან მესხელის კაბინეტში. იქ დამხვდა რამდენიმე პიროვნება, ვიცანი ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი. სულ ორი წუთი ვიყავი. ადეიშვილმა დამავალა, წავსულიყავი სამსახურში, მოვიდოდა მურთაზ ზოდელავა და უნდა გვემუშავა ტელევიზიებთან, კონკრეტულად „იმედთან“ დაკავშირებით. მისივე განცხადებით, სამსახურში მისვლისას მივიდა მურთაზ ზოდელავა და წარადგინა მეხსიერების ბარათი, სადაც ჩაწერილი იყო პროექტი „ტელეიმედის“ მაუწყებლობის შეჩერებაზე. ნონიკაშვილის თქმით, მაუწყებლობის შეწყვეტაზე არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსებობდა. ზოდელავა ოთახიდან რამდენჯერმე გავიდა, ტელეფონზე საუბრობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ შენობაში დავინახე კონტრდაზვერვის სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც მასაც დაყვებოდნენ გადაადგილებისას. „ტელეიმედში“ შეჭრის შემდეგ ზოდელავას ვუთხარით, რომ ლიცენზიის შეჩერების საჭიროება აღარ არსებობდა, თუმცა მიუხედავად ამისა საბოლოოდ, ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება, „ტელეიმედის“ გაფრთხილების, დაჯარიმებისა და შემდეგ ლიცენზიის საკითხთან დაკავშირებით“ასე, რომ ზოდელავა იმ“ ნაცბანდის“ აქტიური წევრი გახლდათ, რომელთა დიდი ნაწილიც პასუხისმგებლობას სწორედ დასავლეთის დაჟინებული მოთხოვნით გადაურჩა და დღეს ყველა ხერხით ცდილობენ დაკარგული გავლენის მოპოვებას. რამოდენიმე წლის წინ უკრაინულმა ვებ-გვერდმა ზოდელავას და გიორგი ვაშაძის საუბარი გამოაქვეყნა საუბარი სააკაშვილის ოდესაში „მეფობის ხანას“ეხება. ზოდელავა შიშობს თუ რა მოჰყვება სააკაშვილის მუქარას პოროშენკოს მიმართ და ამბობს: “ჩვენც არ ამოგვცხონ პანღური”, რაზეც ვაშაძე ამშვიდებს, რომ ამერიკაც ჩართულია ამ პროცესში და ამის საშიშროება არ იქნება(?). ზოდელავა მადას არ უჩივის და ყველა ბერკეტის ხელში ჩაგდებაზე ოცნებობს- ‘უნდა იყოს პროკურატურა და საბაჟო ტერმინალები, პორტები იმისთვის, რომ თანხა გქონდეს, რომ არჩინო ეს ძალოვნები... თუ ამას მოივაჭრებს... მაგრამ ვფიქრობ ვერაფერსაც ვერ მოივაჭრებს, თუ ესე ხისტად ელაპარაკა.“ შემდეგ ოლქის პირველ პოლიციელ-კრიმინალ ლორთქიფანიძეს უწუნებს ინტელექტს ამბობს, რომ ის სპეცნაზელი და “ხისთავიანია”, რომელსაც ხეირიანად საუბრის უნარიც კი არ გააჩნია. მართალია ვერც ზოდელავა დაიკვეხნის დიდი ინტელექტით და ვერც „სხლავს“,მაგრამ გოიმს თავი ყველაზე მაგარი გონია...

სწორედ მურთაზ ზოდელავა და ზურაბ ადეიშვილი იდგნენ „ელიტა ბურჯის” და სხვა კომპანიების ხელოვნური გაკოტრების უკან. ფაქტობრივად, ივანიშვილს „ელიტა ბურჯი” ძალით წაართვეს და მერე თავად იყიდეს „ნაციონალებმა”. უამრავ, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს სწორედ ადეიშვილის, მისი მოადგილეების, ზოდელავას თაოსნობით არათუ ბიზნესი წაართვეს, არამედ საცხოვრებელი სახლებიც გაუყიდეს. ზოგი შემდეგ საპროცესო გარიგებით გამოუშვეს ციხიდან, ზოგიერთები კი, მიუხედავად იმისა, რომ, რაც გააჩნდათ, ყველაფერი წაართვეს და ცოლ-შვილი ღია ცის ქვეშ დაუტოვეს, ციხეში გაისტუმრეს და იქ უმძიმეს პირობებში ამყოფებდნენ. ადეიშვილი ადრეც ჩრდილიდან მართავდა მოვლენებს და ეხლაც, ხოლო ზოდელავა უტიფრად ცდილობს თავის მართლებით და დეზინფორმაციით „წინ წაიწიოს“. ვერც უკრაინაში დამკვიდრდა და იმედგაცრუებული დაბრუნდა ჰოდა აქ ცდილობს ამბიციები დაიკმაყოფილოს...

მურთაზი და ნონა, ნონა და მურთაზი, „ნაცმოძრაობის“ პოლიტზოოპარკის ორი მტაცებელური ბუნების ბინადარი, სანადიროდ გამოვიდნენ და ყველას დაგლეჯას უპირებენ, ვინც მათ კომფორტულ ყოფას სეფრთხე შეუქმნა.

ასე ხდება, როცა ის ვინც გალიაში უნდა იჟდეს, გარეთ დასეირნობს თავისუფლად და არავინ ჩანს, რომ გალიის ბინადრები უკან, გალიაში შეაბრუნოს...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30



ციანიდის საქმე და სახედაკარგულები

გრძელდება ციანიდის საქმეზე სასამართლო პროცესი და აქამდე ვისაც იმედი გვქონდა, სასამართლო სხდომებით მაინც გაიგებდა ცოტაოდენ სიმართლეს ამ ჩახლართული ისტორიიდან – ნურას უკაცრავადო, – მოგვახსენეს.

განა ის გვითხრეს: – ჩვენ რა ვიცით და თქვენ რა უნდა მოგახსენოთო, არა – ჩვენ ვიცითო, იმაზე მეტი ვიცით, ვიდრე თქვენ გგონიათ – სწორედ ამიტომ ვხურავთ სასამართლო სხდომებს – საჭიროზე მეტი რომ არ გაიგოთ შემთხვევითო.

საპატრიარქოს ადვოკატმა განაცხადა: – დეკანოზი მამალაძის სახის შენარჩუნებისთვის იხურება სასამართლო სხდომაო.

უკაცრავად, მაგრამ რომელი სახის, ბატონო?

რომ არ დაუტოვეთ სახე ამ

თვეების მანძილზე საერთოდ – იმ სახის?

წმინდა სინოდმა მისი გამოგზავნილი წერილიც კი რომ არ წაიკითხა – იმ სახის?

რამდენიმე თვეა რომ სირცხვილს უწოდებთ და გაუთავებლად ლანძღავთ – იმ სახის?

მე არ გამოვდგები დეკანოზი მამალაძის დასაცავად – არც უნდა დავიცვა, არც ვაპირებ რომ დავიცვა.

კითხვები, რომლებიც ყველაზე ხშირად მესმოდა ამ თვეების მანძილზე: – მღვდელი ასე უნდა საუბრობდეს? რა სიტყვებს ამბობს, ამას როგორ უნდა ეცვას ანაფორა...

და მე გამახსენდა მაგდა პაპიძე, ქალი – სამუდამო პატიმრობით, ქალი – რომლის ერთადერი დანაშაული შესაძლოა – ზუსტად ესაა, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი.

საყვარელი თუ ჰყავდა – ქმარ–შვილსაც დახოცავდა, რატომაც არა, რატომაც ვერა?

დეკანოზისთვის შეუფერებლად იქცეოდა და საუბრობდა დეკანოზი მამალაძე? – მკვლელიც რომ ყოფილიყო რა შეუშლიდა ვითომ ხელს?

სახე უნდა შეუნარჩუნონ – თორემ იჯდეს ციხეში...

გვკითხეთ, იქნებ გვირჩევნია სახე არ ჰქონდეს, მაგრამ სიმართლე გაირკვეს?

ჰკითხეთ, იქნებ ურჩევნია, სახე არ ჰქონდეს და გარეთ იყოს?

ინტიმური სახის ვიდეოების ჩვენებას კი არ ვაპირებთ სასამართლო პროცესზე – არა, პირადი ინფორმაციის ამსახველი ვიდეოა – გვითხრა პროკურატურამ.

ინტიმური – მხოლოდ სექსი რომ ჰგონია, იმ პროკურატურამ უნდა დახუროს სასამართლო სხომა?

ასეც რომ იყოს, ვის რაში აინტერესებს ამჯერად ინტიმი და სექსი – საქმე განა მკვლელობის მუხლით არ არის აღძრული?

გენაცვალეთ საზოგადოებრივი აზრის შექმნა მართვაში.

ცუდი დეკანოზია მამა გიორგი მამალაძე?

მერე? მე დავნიშნე დეკანოზად? შენ დანიშნე დეკანოზად?

მე თუ მკითხავთ, კარგი დეკანოზი ყოფილა მამა გიორგი მამალაძე.

ცუდ დეკანოზებს და მღვდლებს – იმდენი ფული აქვთ დაგროვილი მრევლის გაყვლეფით – სად წაიღონ, აღარ იციან, რომელი მანქანა იყიდონ, აღარ იციან, სად ააშენონ სასტუმროები, აღარ იციან. დეკანოზმა მამალაძემ კი – ციანიდის საყიდელი ფული ვერ ააგროვა რამდენიმე თვის მანძილზე – აი, პატიოსანი ადამიანი, აი, პატიოსანი დეკანოზი.

ცინიზმია? არ მოგეწონათ? რატომ, პატიოსანი და უფულო დეკანოზი ვერ დაგეგმავდა მკვლელობას?

პროკურატურამ რამდენჯერმე შეცვალა ბრალდება – ხან ერთი ვერსია ჰქონდათ, ხან მეორე.

რომელი დავიჯეროთ? რომელი ვირწმუნოთ?

სიტყვაზე უნდა ვენდოთ, მაგრამ რომელ სიტყვაზე?

და მაინც, – სიტყვაზე უნდა ვენდოთ, რომ ციანიდი მართლაც იპოვნეს ჩემოდანში.

რათა, რათა?

გვაჩვენეთ ჩემოდნიდან ციანიდის ამოღების ვიდეომასალა.

უფრო სწორედ, უნდა გადაგეღოთ და გეჩვენებინათ დაკავებისთანავე – თორემ – ვინ იცის ვინ რას ჩადებდა ექვსი საათი უპატრონოდ მიტოვებულ ჩემოდანში? აკი, ექვსი საათის შემდეგ მოიკითხეთ ბარგი, – ბარგი – რომლის გამოც დააკავეთ. დაკავების მიზეზი მოიკითხეთ – ექვს საათში? ამხელა პრელუდია არც ერთ ინტიმურ ვიდეოს არ ექნეოდა, ბატონებო.

ისე, ის ვერსია მაინტერესებს ძალიან სად წავიდა და სად გაქრა – აი, მარტო რომ არ მოქმედებდა დეკანოზი მამალაძე.

ვერ იპოვნეთ თანამზრახველები? გადამალა? ციხიდანაც გადამალა? – კაცი ეგ ყოფილა.

თუ გინდათ დავიჯეროთ თქვენი ციანიდისეული ვერსია – მაშინ თანამზახველნი მოგვგვარეთ – თორემ რა გამოდის – დეკანოზმა მამალაძემ – დაგეგმა, იყიდა, მოსაკლავად გაუდგა გოლგოთას და სულ მარტო? მარტო თავისთვის? იუდაა? იუდაც კი არ იყო მარტო, იუდაც კი ხელის ბიჭი იყო და შემსრულებელი.

არ არიან თანამზრახველნი?

არა, მაგას ვინ ჭამს?

სამწუხაროდ, თქვენდა სამწუხაროდ, ბატონებო, სწორედ ის ფაქტი, როგორ და რანაირად საუბრობს დეკანოზი მამალაძე – გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ მას ასეთი რთული ოპერაციის დაგეგმვა და განხოციელება მარტოს შეეძლო.

როგორც ავღნიშნე – პატიოსანი დეკანოზი ყოფილა მამალაძე – მხოლოდ პატიოსან მღვდლებსა და დეკანოზებს არა აქვთ დღეს ფული – ხო, თუნდაც ციანიდის საყიდელი ფული.

როგორც ავღნიშნე – დიახ, სამწუხაროდ დეკანოზის საუბარი მის მაღალ ინტელექტზე არ მეტყველებს და თქვენდა სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში – ეს მისი კოზირი უფროა, ვიდრე ნაკლი.

და როგორც ავღნიშნე – ახლა რომც დაგვიდოთ ჩემოდნიდან ციანიდის ამოღების ვიდეო, არც დებთ, მაგრამ მაინც – რა ფასი ექნება ექვსი საათით უპატრონოდ დაგდებული ჩემოდნიდან რამის ამოღების ან არ ამოღების ჩვენებას.

ხოდა, ვის რაში სჭირდება ახლა, ამის შემდეგ, ინტიმური ვიდეორგოლი, რომელიც ინტიმურიც კი არაა– გვეუბნებით.

კონსულტანტი არ გივარგათ, ბატონები.

ცამდე მტყუანიც რომ იყოს გიორგი მამალაძე – იმდენი უპასუხო კითხვა დატოვეთ – კითხვის ნიშანი არ მოსცილდება ციანიდის საქმეს. ისევე, როგორც მაგდა პაპიძის საქმეში – ცამდე მტყუანია იქნება – მაგრამ არ მჯერა – ვერ დამაჯერეთ და იმიტომ. უამრავი სამხილის, უამრავი კომენტარის, უამრავი ჩვენების მერეც ვერ დამაჯერეთ და იმიტომ.

კითხვის ნიშანი რომ მამშვიდებდეს, რომ მარწმუნებდეს – სახე არ ამეწვებოდა.

ახლა კი, მგონია, ჩემს სახეს მართმევენ, ჩვენ სახეს გვართმევენ – თორემ დეკანოზ მამალაძეს რა სახე დაუტოვეს, რომ წაერთვას?!

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ქართული მიწების გაყიდვა უცხოელებზე საქართველოს გაყიდვის ტოლფასია

სოფელი კუმისი

არაერთხელ თქმულა, რომ საქართველოს მოქალაქეები არ დაუკმაყოფილებიათ ბოლომდე მიწით, თუ ვინმეზე გაიცა მცირე ფართობები, მათი უმეტესობა ამ მიწის დაკანონებას ვერ ახერხებს, რადგან საარქივო მასალები მავანთა მეცადინეობით, უკვალოდაა გამქრალი. თანაც ამ მიწების უმეტესობა ურწყავია, რადგან სარწყავი სისტემა მთლიანად გაძარცვულია. რაც შეეხება გასარწყავებულ ფართობებს, მათ ხელისუფლებებთან დაახლოებული „ბობოლები“ დაეუფლნენ და ახლა სარფიანად ყიდიან. გარდაბნის რაიონის სოფელ კუმისში, სახნავ-სათესი მიწის გარეშე დარჩენილ მოსახლეობისთვის, რომელთაც მესაქონლეობას მიჰყვეს ხელი, საძოვრები და სათიბებიც გაუყიდიათ, რაც ახლაღა შეიტყვეს. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ იქაურ „მემამულეს“, რომელსაც ეს „სტატუსი“ 2008-2009 წლებში მიუღია, სოფლელებისთვის უთქვამს ნახირს აქეთ ნუ გამორეკავთ, ტერიტორიები გაყიდულია და კერძო საკუთრებაში შესვლა არ გაბედოთო. როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერებით ირკვევა, ეს მიწები უცხოელებზე სწორედ იმ კომპანიამ (შპს „კუმისი XXI“ -ე.წ. მეფრინველეობის ფერმა) გაასხვისა, რომლის მფლობელთა შორის ეს ბატონიც ფიგურირებს. „ახალგამომცხვარმა“ მფლობელებმა სიტყვას საქმე მოაყოლეს და დაუყოვნებლივ დაიწყეს ასეულ ჰექტრობით მიწის დაკვალვა, რასაც კუმისელების პროტესტი მოყვა. მფლობელებს, ვინმე ნასრედინ ალსაიედს, აჰმად აბდულკარიმ ალჰაჯი ჰასანს და ა.შ. (მათი სრული სია ჯერ ბოლომდე ვერ მოვიპოვეთ) პატარ-პატარა ფართობებად აქვთ მფლობელობაში დარეგისტრირებული და სავარაუდოდ, თანამემამულეებზე გასხვისებას აპირებენ, სადაც შემდგომში სახლები აშენდება. ადგილობრივების მიერ გამართული საპროტესტო აქციები რამდენიმე ტელეარხმა გააშუქა, რომელთა შორის ქართული მედიის „ფლაგმანი“, ე.წ. ობიექტურ-რეიტინგული „რუსთავი-2“ არ ყოფილა, სხვათა შორის, არც ხსენებული „მემამულე“ გაკარებია იქაურობას. ეს მიწები 2017 წლის აპრილშია გასხვისებული უცხოელებზე, მათ გარდა, კუმისის მიწების ახალმფლობელად ს/ს „ზე გალფიც“ ფიქსირდება, რომელსაც მიმდინარე წლის მარტში შეუძენია მიწის მოზრდილი ფართობები. ასე რომ, „წარმატებული“ ბიზნესმენი კეზერაშვილი მიწათმოქმედიც გამხდარა. გეხსომებათ, ე.წ. კუმისელი მოჩვენება, რომელიც თავიდან კუმისელებს



სცემდა შიშის ზარს და მერე ქვემო ქართლის სხვა სოფლებშიც გადაინაცვლა. ქართული მედია, განსაკუთრებით ტელევიზიები უნისონში ამტკიცებდნენ, შეშინებული კუმისელები უკანმოუხედავად გარბიან, სოფელი დაცარიელდაო, თუმცა ეს დაცარიელებული სოფელი ვერ ვნახე. ეს ხმები სპეციალურად რომ ვრცელდებოდა, მას შემდეგ უფრო ვირწმუნე, როცა შემდგომში „რეიკად“ მონათლული და „ნაბარტყი“ მოჩვენების საკუთარი თვალით მხილველი ვერ მოვიძიე კუმისში, რატომღაც ყველა გადმოცემით საუბრობდა. ხალხი იმასაც ამბობდა, ეს „მოჩვენებები“ ჩვეულებრივი სპეცრაზმელები არიან და წვრთნას გადიანო. ახლახანს ისიც მითხრეს, თეთრიწყაროს რაიონის ერთ-ერთ სოფელში ადგილობრივებმა დაიჭირეს ეს „მოჩვენება“ და ხელში უცნაურად ჩაცმული ახალგაზრდა კაცი შერჩათ, რომელსაც ზებუნებრივის არაფერი ეტყობოდა. მისი ეროვნება ვერ გაარკვიეს, რადგან არავის დალაპარაკებია და პოლიციის მოთხოვნით გაუშვესო. ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ძალიან გვაინტერესებს, ვის და რატომ დაჭირდა ხალხის ასე დაშინება. კუმისელები და არა მარტო ისინი, შარშანდელ „საშინელებათა ფილმებს“ მიწების მასობრივ გასხვისებას უკავშირებენ, უნდოდათ ხალხს სახლები ჩალის ფასად გაეყიდათ, სოფელი მართლაც დაცლილიყო ადგილობრივებისგან, რომ მიწის მასობრივად გაყიდვის შემთხვევაში შემდავებელი არ

ჰყოლოდათო. ერთი საგულისხმო დეტალი – ცნობილი „რეიკის“ გამოჩენამდე კუმისს გეოლოგები ესტუმრნენ და სოფლის სიახლოვეს, მოსახლეობისთვის გადაცემულ ფართობებში ჭაბურღილის კოშკურა დადგეს, რომელიც დღე და ღამე მუშაობდა. სოფელშიც გაავლეს რაღაც ლენტები და თურმე იქვე მდებარე კლდეებზეც დაფორთხავდენენ. იქაურების თქმით, ეს ხალხი გაზის თუ ნავთობის საბადოს ეძებდნენ, აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, სოფელს აყრას უპირებენო. ვისი მითითებით ხდებოდა ეს კვლევა-ძიება, იქაურებისთვის დღემდე გაურკვეველია. ერთ დღეს გეოლოგებმა გუდა-ნაბადი აიკრეს, ასე თქვეს ვერაფერი აღმოვაჩინეთო, არადა, რამდენადაც ვიცით, ბუნებრივი აირის დიდი მარაგი აღმოუჩენიათ, მაგრამ დააკონსერვესო. იმ პერიოდში ხსენებულ კვლევა-ძიებასა და სოფლის გასახლებასთან დაკავშირებით, კომპეტენტურ ადამიანებს რომ გავესაუბრე, მითხრეს, საეჭვოა, კუმისში იმ მოცულობის საბადო იყოს, რომ სოფლის აყრად ღირდეს, ეს ხალხი ხომ სათანადო კომპენსაციას მოითხოვსო. ამ ამბებიდან მოკლე ხანში მოევლინა კუმისელებს აგრესიული“ მოჩვენება. ნამდვილად არ ვაპირებთ იმის მტკიცებას, რომ ეს ყველაფერი ერთმანეთს უკავშირდება, ფაქტია ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, მით უმეტეს, რომ სწორედ „გალფმა“ შეიძინა კუმისის მიწების ნაწილი, რომელიც ენერგომატარებლებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. რაღაც საეჭვოა, კეზერაშვილი მიწათმოქმედებით იყოს დაინტერესებული და ბაღ-ვენახისა თუ ბოსტნის გაშენებას აპირებდეს.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული რეგიონალური კვლევების ცენტრის დირექტორს **მამუკა არეშიძეს** გავესაუბრეთ, რომელიც 2012 წლის არჩევნებში „ქართული ოცნებიდან“ იყრიდა კენჭს გარდაბნის რაიონში.

მამუკა არეშიძე: „ვერ წარმოვიდგენდი, რომ საქართველოში არსებობს რეგიონი, სადაც ამდენი უკანონობა ხდება, განსაკუთრებით მიწებთან დაკავშირებით, რაც ქვემო ქართლშია. საკითხის შესწავლა იმ პერიოდიდან დავიწყე, როცა გარდაბნის რაიონს

მამუკა არეშიძე

ეკუთვნოდა ტაბახმელა, წავკისი, კოჯორი და ამ ზონის სხვა სოფლები. გასაგებია, რომ მავანთათვის ტკბილი ლუკმა იყო იქაური მიწები, როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე საკურორტო თვალსაზრისით. მიწებთან დაკავშირებით უკანონობა ლევან მამალაძის გუბერნატორობის დროს დაიწყო, რასაც შემდგომში სხვა უკანონობებიც ემატებოდა. ამის მოთავეც თავიდან ერთადერთი კაცი, ვაჟა ლელუაშვილი იყო, მას მიემატა რაიონის გამგებელი თემურ ფეიქრიშვილი, რომელიც 2012 წელს გარდაბნის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს (უფრო ადრე ფეიქრიშვილი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარე იყო – მ.ს.), მაგრამ ისინი მარტო არ ყოფილან, უკანონობაში ის ხალხიც იყო ჩართული ვინც მათ ექვემდებარებოდა, ზოგი გამგეობაში,

თემურ ფეიქრიშვილი

ვაჟა ლელუაშვილი

საჯარო რეესტრში, ან სხვა ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოში მუშაობდა, საკრებულოს წევრები და ა.შ. თუმცა სისტემა ლელუაშვილმა შექმნა. კაცი, რომელიც ადგილობრივების თქმით, შევარდნაძის მმართველობისას მამალაძის მეჯინიბე იყო, ნაციონალების დროს კუდ-ის უფროსის მოადგილე გახდა. საკურორტო ზონაში უამრავი მიწაა უკანონოდ გაყიდული, ტყის უზარმაზარი მასივები, წლობით ნაშენები სატყეო კულტურაა განადგურებული იმ პოლიტიკის წყალობით, რასაც რეგიონში ატარებდნენ. ლელუაშვილისა და ფეიქრიშვილის სახლები რომ ნახოთ, დარწმუნდებით, რომ ის მიწები უანგაროდ არ გაცემულა. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, პირველ რიგში იმის გარკვევა მინდოდა რა პრინციპით გაანაწილეს. რასაკვირველია, 90-იანი წლების დასაწყისში შექმნილ კანონმდებლობას ვეყრდნობოდი, რომელიც გულისხმობდა მიწის ადგილობრივ მოსახლეობაზე დანაწილებას კატეგორიების მიხედვით. იქ სამი კატეგორია იყო, ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც თავის დროზე მუშაობდა კოლმეურნეობასა თუ მეურნეობაში, ისინი ვინც სოფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ იქ არ უმუშავიათ და ქალაქში მცხოვრები ხალხი, რომელთაც რაღაც კავშირი ჰქონდათ ამ რეგიონთან, ასევე არსებობდა საბაღე ამხანაგობები. აქ მთავარი ის იყო, ხშირ შემთხვევაში ერთი და იგივე ადამიანის გვარი ფიგურირებდა სხვადასხვა ფართობის მიწის მფლობელად, მათ შორის იყო ფეიქრიშვილის დედა. ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებს, უკიდურესად გაჭირვებულ ინვალიდ ადამიანს წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ამდენ მიწებს „ფლობდა“. აშკარად ჩანდა, რომ ვიღაც სპეციალურად ქმნიდა ამ სისტემას, რამდენიმე ადამიანზე იყო გაცემული ასობით ჰექტარი მიწა, ეს იმისთვის იყო გაკეთებული, რომ შემოწმების შემთხვევაში ეჭვი არ გაჩენილიყო. რეალურად კი ეს მიწები სულ სხვა პიროვნებებს, მაქსიმუმ 5-6 ადამიანს ეკუთვნოდა. დღემდე ეს სიტუაციაა, მერე დაიწყეს ამ მიწების გაყიდვა უცხოელებზე. ანალოგიური ვითარებაა კუმისშიც, ეს სოფელიც მახინჯი პოლიტიკის მსხვერპლია. კატასტროფულ მდგომარეობაში ვართ, ადგილობრივი მოსახლეობისთვის აღარ არის ხელმისაწვდომი ქართული მიწა, თითქმის ბოლომდეა განადგურებული სარწყავი სისტემა. მასალების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ ქვემო ქართლს პატრონი არ ჰყავს, რომ ეს რეგიონი საქართველო კი არა, მტრის ტერიტორია იყო, რომელიც აუცილებლად უნდა გაგეძარცვა. საზღვრისპირა ზოლშიც კი გაყიდულია მიწები, მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ეს ხომ ჩინოვნიკების გაკეთებულია. მე არ ვიცი როგორ შეიძლება გამოსწორდეს ეს ეს მდგომარეობა, თუ სახელმწიფო უხეშად არ ჩაერია და არ შეცვალა პოლიტიკა. ჩემი აზრით, ყველა იმ ადამიანს, რომელიც 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ჩინოვნიკი იყო, პასუხი უნდა მოეთხოვოს, რადგან ყველა იღებდა ამ დანაშაულში მონაწილეობას.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

იხსნის თუ არა ტრამპს იმპიჩმენტისგან მრავალმილიარდიანი ინვესტიციები?

ამერიკის შეერთებულ შტატებში, პოლიტოლოგების შეფასებით, შიდა პოლიტიკურმა ქაოსმა დაისადგურა. განხეთქილებაში, რომელიც დონალდ ტრამპსა და მის მოწინააღმდეგეთა შორის არსებობს, იქაურ მედიასაშუალებებსაც შეაქვთ თავიანთი წვლილი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის ვიზიტი დღესაც განსჯის ერთ-ერთი მთავარი თემაა.

თავდაპირველად ჟურნალისტები იმით განაწყენდნენ, რომ შეხვედრის ამსახველი ფოტოკადრები საკდესის რუსმა კორესპონდენტმა გადაიღო. მათი განცხადებით, რუს კოლეგას შესაძლოა თან ჰქონოდა და ფარულად დაემონტაჟებინა მოსასმენი აპარატურა (?). ეს აბსურდული ბრალდება ტრამპის უსაფრთხოების სამსახურმა უპასუხოდ დატოვა. მოგვიანებით თავად ჟურნალისტმა დაწვრილებით ისაუბრა, თუ როგორ გულდასმით შეამოწმეს რამდენიმეჯერ თეთრ სახლში შესვლისას, სადაც სტუმარი უმეთვალყურეოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს.

მოსასმენი აპარატურის „ჩავარდნის“ შემდეგ სხვა მხრიდან განახორციელეს ტრამპზე შეტევა — პრეზიდენტმა სახელმწიფო საიდუმლო გაანდო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრსო. ბრალდებამ თავდაპირველად რუსეთის ჩინოვნიკების (და არა მარტო მათი) გაოცება გამოიწვია. პრეზიდენტმა პუტინმა ამერიკელებს ტრამპისა და ლავროვის შეხვედრის სტენოგრაფიული ჩანაწერის (რომელიც თითქმის ყველა ოფიციალურ შეხვედრაზე კეთდება) გადაცემა შესთავაზა, თუმცა ამერიკელმა სენატორებმა უარი განაცხადეს და დონალდ ტრამპის იმპიჩმენტი მოითხოვეს! მიზეზად სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნება და რუსეთთან ტრამპის მჭიდრო ურთიერთობა დაასახელეს. ამას პუტინმა „პოლიტიკური შიზოფრენია“ უწოდა. რამდენად გამართლებული და ეთიკურია პუტინის გამონათქვამი, პოლიტოლოგებს ჯერ არ შეუფასებიათ.

ამასობაში კი სენატორებისა და კონგრესმენების მოთხოვნით სპეციალური პროკურორი დაინიშნა, რომელმაც უნდა გამოიძიოს, ჰქონდა თუ არა კავშირი უცხო ქვეყნის, კერძოდ, რუსეთის სპეცსამსახურებს ტრამპის საარჩევნო შტაბთან, ყოველივე ამან ხომ არ მოახდინა არჩევნებზე გავლენა. აქვე აღსანიშნავია, რომ სპეციალური პროკურორი აშშ-ის ისტორიაში ორჯერ დაინიშნა. პირველად რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობისას, 1974 წელს, რასაც ნიქსონის იმპიჩმენტი მოჰყვა. მაშინ ოფიციალურ მიზეზად „უოტერგეიტსის საქმე“ დაასახელეს, მაგრამ, როგორც ახლა თავად ამერიკელი პოლიტოლოგები და მიმომხილველები ამბობენ, ნიქსონს ვიეტნამის ომში, ფაქტობრივად, მარცხი არ აპატიეს. მეორედ ბილ კლინტონის დროს დაინიშნა სპეციალური პროკურორი, თუმ,ცა კლინტონი იმპიჩმენტს გადაურჩა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სპეციალური პროკურორის დანიშვნის შესახებ ყველაზე ბოლოს ტრამპმა გაიგო.

აშშ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ იქაური მედიაც აქტიურად არის ჩართული. ერთ-ერთმა გამოცემამ, ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს ტრამპმა ლავროვს გადასცა საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც ისრაელის დაზვერვამ ე. წ. „ისლამურ სახელმწიფოში“ ჩანერგილი აგენტის მეშვეობით მოიპოვაო. საჯაროდ გავრცელებულმა ამ ინფორმაციამ ისრაელის მხარის აღშფოთება გამოიწვია. ოფიციალური პირები, სავარაუდოდ, ტრამპის ოფიციალურ ვიზიტს ელოდებიან თავიანთ ქვეყანაში. იქაურმა სამხედრო ექსპერტებმა, რომლებიც ათობით წლები სპეცსამსახურებში საქმიანობდნენ, მოითხოვეს, რომ აშშ-ის მხარემ გამოარკვიოს ანონიმის ვინაობა და მკაცრადაც დასაჯონ, რადგან მან, ფაქტობრივად, დარტყმის ქვეშ დააყენა ისრაელის დაზვერვა და ის აგენტებიც, თუ მართლა არის ვინმე ჩანერგილი ტერორისტებს შორის.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აშშ-ის საელჩო ისრაელში, ფაქტობრივად, დაზვერვის ცენტრის ფუნქციასაც ასრულებს, სადაც „ჩიტიც კი ვერ შეფრინდებაო“. როგორც ამბობენ, ცენტრი ახლო აღმოსავლეთის თვალი და ყურიაო.

პოლიტოლოგების განცხადებით, სავარაუდოდ, ტრამპის იმპიჩმენტი არ შედგება. ამისთვის კონგრესის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერაა საჭირო. ექპერტების ვარაუდით, რესპუბლიკური პარტია არ დაუშვებს თავიანთი კანდიდატის იმპიჩმენტს, რადგან ეს იქნება პარტიის დასამარებაო, აცხადებენ.

ასეთი რთული შინაური პრობლემების ფონზე დონალდ ტრამპი ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა ევროპასა და აზიაში. „ცოტა ხნით მაინც გაეცლება ჭაობს, რომლის ამოშრობასაც აპირებდაო“, — ამბობენ პოლიტოლოგები.

პირველი ოფიციალური ვიზიტი დონალდ ტრამპმა საუდის არაბეთში განახორციელა, სადაც მართლაც გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს. აეროპორტში მას თავად ქვეყნის მონარქი დახვდა (მსგავსი პატივი ობამას არ აღირსეს. მისი კანონით, 2001 წლის 11 სექტემბერს დაზარალებულებს უფლება მისცეს მოეთხოვათ კომპენსაცია, რადგან ტერაქტი არაბებმა განახორციელესო). მიღება-დახვედრა ერთია, მაგრამ გაფორმებული ხელშეკრულებით თუ ვიმსჯელებთ, ვიზიტი მართლაც ღირებულია. საუდის არაბეთი აშშ-ის მხრიდან შეიძენს სამხედრო ტექნიკა-დანადგარებს, რომლის ღირებულება 110 მილიარდი დოლარია. საერთო ჯამში, საუდის არაბეთთან ტრამპის ვიზიტისას 280 მილიარდი დოლარის ხელშეკრულებებს მოეწერა ხელი.

დონალდ ტრამპმა პირველივე ოფიციალური ვიზიტის დროს მიაყენა საპასუხო დარტყმა მოწინააღმდეგეებს. მოზიდული თანხებით მან მიიმხრო ის მსხვილი ბიზნესმენები, რომლებმაც უნდა განახორციელონ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები. მეწარმეთა გარდა მოინადირებს დასაქმებულთა გულებს. ეს კიდევ ერთი გარემოებაა, რომელიც გამორიცხავს ტრამპის იმპიჩმენტს.

ბიზნესი ბიზნესად, მაგრამ რას მოხმარდება საუდის არაბეთის მიერ შეძენილი ეროდენ დიდძალი შეიარაღება, პოლიტოლოგები და ექსპერტები კონკრეტულად ჯერ ვერაფერს ამბობენ. გამორიცხული არ არის, იარაღის დიდი რაოდენობა „შავ ბაზარზე“ მესამე ქვეყნებმა შეიძინონ...

გია ბურდული
551 71 27 07

ძლიერი რეგიონები ძლიერი

წყალტუბო

წყალტუბო – სტიქიით დაზარალებულები კომპენსაციის თანხებს მიიღებენ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჟონეთში ბოლო დღეებში მოსული უხვი ნალექის შედეგას დაიტბორა 9 ოჯახის სახლები და საკარმიდამო ნაკვეთები. გამგეობაში შექმნილმა კომისიამ უკვე დათვალა მიყენებული ზარალი, რომლის ოდენობამ 13 835 ლარი შეადგინა. თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა და თითოეულ ოჯახს მიყენებული ზარალის შესაბამისად გაუნაწილდება, რათა დროულად მოახდინონ საცხოვრებელი სახლების გამაგრება და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

საცხოვრებელ სახლებთან ერთად დაზიანებულია სოფელ ზედა ონჭეიშის საფეხმავლო ხიდი, რომლის ხის მასალა ადიდებულმა მდინარე რიონმა წაიღო, სპეციალისტები მუშაობენ შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენაზე, აღდგენითი სამუშაობი უახლოს მომავალში დაიწყება

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა წყალტუბოში

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა საქართველოში რამდენიმე წელია მიმდინარეობს და იგი გულისხმობს მოსახლეობის პრევენციას ციროზისა და ღვიძლის კიბოს წინააღმდეგ. პროგრამის თანახმად, 2020 წელს საქართველოში C ჰეპატიტით დაავადებული არც ერთი ადამიანი აღარ უნდა იყოს.

წყალტუბოში სკრინინგ კვლევის აქციაში ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლო მონაწილეობის მიღება.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში პროგრამის პირველი ეტაპი უკვე დაასრულეს. ამჟამად კი მიმდინარეობს მეორე ეტაპი და მოთხოვნის შესაბამისად ნებისმიერ სოფელში ისევ მივა ადგილზე ლაბორატიული სადგური.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა ბაღდათში

ბაღდათის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულთან – გუბერნატორთან არსებული სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ვიცე-გუბერნატორები: გიორგი ჭიღვარია და იოსებ ხახალეიშვილი, მუნიციპალიტეტების გამგებლები და საკრებულოს თავმჯდომარეები ესწრებოდნენ.

მხარეებმა 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები და 2017 წელს განსახორციელებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს. თათბირის მთავარი თემა იყო ასევე იმერეთის რეგიონში გაზიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები და მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ იმერეთში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. საკონსულტაციო საბჭოზე მუნიციპალიტეტის გამგეობების მიერ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების შესახებაც მიიღეს ინფორმაცია.

გურჯაანის მოსახლეობა უფრო დიდ ზარალს გადაურჩა

20 აპრილს მოსულმა სეტყვამ კახეთის მუნიციპალიტეტები დააზარალა. შედარებით მძიმე მდგომარეობაა გურჯაანის ხუთ და ლაგოდეხის ორ სოფელში. დაზიანებულია ვენახები, ხეხილის ბაღები და ბაღჩეული კულტურები. ყველა პრობლემურ მუნიციპალიტეტებში მუშაობს ზარალის დამთვლელი კომისია.

სეტყვასაწინააღმდეგო სისტემის აქტიური მუშაობის შედეგად, საჰაერო სივრცის გადატვირთულობის გამო შეზღუდვების პირობებშიც კი, კახეთის რამდენიმე რაიონში მძლავრი ატმოსფერული პროცესები მნიშვნელოვნად იქნა შესუსტებული.

დიდი ფართობის სეტყვასაშიშმა ფრონტალურმა ღრუბელმა ეტაპობრივად მოიცვა ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღისა და ლაგოდეხის რაიონები.

დილის 12 საათიდან საღამოს 8 საათამდე 70 ერთეული სეტყვასაშიში ღრუბლის კერაზე სარაკეტო დამუშავება მნიშვნელოვანი შეზღუდვების პირობებში ეტაპობრივად განხორციელდა. გაუარესებული ამინდის გამო საჰაერო სივრცე საფრენი აპარატებით იყო გადატვირთული, რაც რაკეტების დროულად გასროლის შემაფერხებელი ფაქტორია.

დედოფლისწყაროში ბიოუსაფრთხოების პუნქტები ამოქმედდა

კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში, ამოქმედდა ცხოველთა გადასარეკი ტრასის ბიოუსაფრთხოების პუნქტები, რომლებიც სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა დეპუტატმა ირაკლი შიოლაშვილმა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან, ზურაბ ჩეკურაშვილთან, ადგილობრივი ხელისუფლებისა და მეცხვარეთა ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი ბიოუსაფრთხოების პუნქტები ხელს შეუწყობს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას, დაავადებების გავრცელების შემცირებას, რაც დადებითად აისახება მეცხოველეობის დარგის განვითარებასა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალზე.

დედოფლისწყარო

წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვისთვის განკუთვნილი პუნქტები სპეციალურად მოწყობილ ტერიტორიაზეა განთავსებული, სადაც ფუნქციონირებს პირუტყვის სადეზინფექციო-გასაბანი აუზები, საშხაპეები, წყლის რეზერვუარები, საწყობი, ვეტპუნქტი და საკარანტინო ზონა. თითოეულ პუნქტში დღეში, საშუალოდ, 3000 სული პირუტყვის დამუშავებაა შესაძლებელი, რაც ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი სადეზინფექციო საშუალებებით ხორციელდება. ბიოუსაფრთხოების პუნქტები ცხოველთა მეპატრონეებს უსასყიდლოდ ემსახურება, ვეტერინარიული ღონისძიებების ჩატარებას კი სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარები ზედამხედველობენ.

საქართველოში უკვე ფუნქციონირებს ცხოველთა გადასარეკი ტრასის ბიოუსაფრთხოების ოთხი პუნქტი რუსთავში, მარნეულში, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში.

დუშეთი – „გახდი გადაწყვეტილების მიმღები“

დუშეთის კულტურის სახლში გაიმართა პრეზენტაცია ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტისა „გახდი გადაწყვეტილების მიმღები ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელების პროცესში“.

ბაღდათი

პროექტის მიზანია, დუშეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებითა და მოქალაქეთა ჩართულობის ამაღლებით. საპილოტე თემებად შერჩეულია დუშეთის მუნიციპალიტეტის ხუთი ადმინისტრაციული ერთეული: დუშეთის, ფასანაურის, ჟინვალის, მჭადიჯვრისა და ჭოპორტის. ამ ერთეულებში უკვე ჩამოყალიბებულია პროექტის საწყის ეტაპზე გათვალისწინებული „მოქალაქეთა ჩართულობის კომიტეტები“, რომელთაც სამომავლოდ პირდაპირი კომუნიკაციით ხელი უნდა შეუწყონ ინფორმაციის გაცვლას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სამიზნე ჯგუფებს შორის, მოსახლეობასთან ადგილობრივი ხელისუფლების საინფორმაციო შეხვედრისა

საქართველოსთვის

და დებატების ორგანიზებას, ბიუჯეტის შემუშავების პროცესში დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობასა და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებას.

ახალი მინი სტადიონი სენაკში

სენაკში, თანამედროვე სტანდარტების ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობა მიმდინარეობს. შარტავას ქუჩის №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთი უკვე გაიწმინდა სამშენებლო ნარჩენებისგან. მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა დგებუაძემ, მოადგილეებთან თენგიზ ლომიასთან და ნატო ფულარიასთან ერთად, 50 მაყურებელზე გათვლილი ხელოვნურსაფარიანი მინი მოედნის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა.

სამუშაოების ღირებულება 68 289 ლარს შეადგენს. დასაქმებულია 10 ადგილობრივი.

2013 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეაბილიტაცია ჩაუტარდა 19 ხელოვნურსაფარიან მინი მოედანს. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ახალგაზრდებისთვის სპორტული ცხოვრების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

სენაკში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები

გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირება იყო. ასფალტბეტონის საფარი მოეწყო რუსთაველის, ნინოშვილის, ზუგდიდის, ნუცუბიძისა და ვაჩნაძის ქუჩებზე, მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის ბათარიას უბანში, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ტყირში და ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში (სასაფლაოსკენ მიმავალი გზა).

შარტავას ქუჩაზე მიმდინარეობს მინი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაოები. თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში (სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია) სრულდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტის რეაბილიტაცია.

გზის რეაბილიტაციის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს თეოფანე დავითაიას, გიორგი ბრწყინვალის, კიკვიძისა და შონიას ქუჩებზე.

ღვინჯილიას ქუჩაზე დაწყებულია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის მოსამზადებელი სამუშაოები.

ფოთში კოღოების საწინააღმდეგო შეწამვლა მიმდინარეობს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ქალაქ ფოთში კოღოების საწინააღმდეგო ღონისძიებებს ახორციელებს. წამლობები ფოთში ორ ეტაპად განხორციელდება.

ე. წ. თერმული ნისლითა და ბიოლოგიური პრეპარატით მუშავდება წყალსატევები და დაჭაობებული ტერიტორიები, სადაც კოღოს გავრცელება მასობრივად აღინიშნება. საამისოდ იყენებენ ბიოინსექტიციდს, რომელიც სპეციალურად წყლის ზედაპირზე კოღოს მატლების გასანადგურებლად არის შექმნილი და მოქმედებს 20-30 დღის განმავლობაში. პრეპარატი რეკომენდებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ და უსაფრთხოა როგორც ადამიანების, ცხოველების, თევზებისა და ფუტკრებისთვის, ისე გარემოსთვის.

წელს შუახევში 5 ახალი ბაგა-ბაღი გაიხსნება

ხიჭაურის საჯარო სკოლის სიახლოვეს ორსართულიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა საძინებლები, გასართობი ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო, დამონტაჟდება ცენტრალური გათბობის თანამედროვე სისტემა, კეთილმოეწყობა ეზო. შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირთათვის;

ხიჭაურის ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბაგა-ბაღი ექსპლუატაციაში 2017 წლის 1 ოქტომბერს შევა და 50-ზე მეტ აღსაზრდელს მოემსახურება; დასაქმდება 10-ზე მეტი ადგილობრივი კადრი; მშენებლობაზე 219 870 ლარი დაიხარჯება;

სულ შუახევში ხუთი საბავშვო დაწესებულება ფუნქციონირებს, მიმდინარე წელს მათ რიცხვს ხიჭაურის, ჭალა-წყაროთის, ჩანჩხალოს, შუბნისა და ფურტიოს ბაგა-ბაღები შეემატება.

ფოსტის შენობა ბორჯომში

ბორჯომს საფოსტო სერვისცენტრის ახალი შენობა ექნება და იგი ადგილობრივებს უნივერსალური საფოსტო მომსახურების სფეროში შემავალი სერვისებით უზრუნველყოფს.

ბორჯომში ცენტრალური გზის მიმდებარედ დაიწყო საფოსტო სერვისცენტრის ახალი შენობის მშენებლობა. პროექტს შპს „საქართველოს ფოსტა“ ახორციელებს. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ერთსართულიანი შენობის გრუნტის მოსამზადებელი სამუშაოები. ახალი ობიექტის მშენებლობის დასრულება ივლისის თვეში იგეგმება.

გურამ შარაძის მოსაგონრად

2017 წლის 20 მაისს კიდევ ერთი სირცხვილი მიითვალა საქართველოს ბედკრულმა ისტორიამ, კიდევ ერთი წიწამური განმეორდა თბილისის გულში იმ ავბედით დღეს, როცა ქართველთმოძულე სააკაშვილის ლეკვებმა ბინძური ხელები აღმართეს საზოგადო მოღვაწეზე, აკადემიკოს გურამ შარაძეზე. მათ ჯოჯოხეთი განიმზადეს და, სამწუხაროდ, უდიდესი ცოდვა თავიანთ შვილთაშვილებს მოახვიეს თავს.

ნუთუ არ უნდა დამთავრდეს სამშობლოს სიყვარულით გულანთებულთა, ქრისტეს ერთგულ მართლმადიდებელთა მოშთობა? სისხლი ზვარაკად შეწირულთა ზეცას შეჰღაღადებს. სისხლი მოწამეთა დანთხეული ჯალათების ხელებს შეხმობია. ეს არც აწუხებთ, რამეთუ მათ ეს დასავლეთიდან გადმოგზავნილი გრანტების საფასურად აღასრულეს, რამეთუ ბატონი გურამი დიდი წინააღმდეგობა იყო მსოფლიო ანტიქრისტიანული ძალებისა, რათა საქართველოში შავბნელი გეგმები განეხორციელებინათ.

ბატონო გურამ! ერის კორიფეების, სულმნათი ილიასა და აკაკის სულები ზეციურ იერარქიიდან ელოდნენ თქვენი შედეგრების დასრულებას. დაგაცადეს კი? სირცხვილი ჩუენი, ერის და სარწმუნოების უძილო ქომაგო და დარაჯო, როგორც გამოგასალმეთ სიცოცხლეს, ვერ გაგიფრთხილდით, ვერ გიპატრონეთ. სისხლისმსმელები ჩვენზე „ძლიერნი“ აღმოჩნდნენ, თუმცაღა ამას სიძლიერეს ვერ დავარქმევდი, რამეთუ ახლა სატანა, ბოროტება მძვინვარებს ამ ცოდვილ დედამიწაზე, რათა შთანთქას ყოველივე კეთილი და სათნო.

ბატონო გურამ, მუხანათებმა სწორედ მაშინ დაგადუმეს, როცა მეცნიერული მოღვაწეობის ზენიტში ბრძანდებოდით, საკუთარ სისხლში გაცურავეს, რათა საზოგადოება დაეშინებინათ. მაშინ მოგისწრაფეს სიცოცხლე, როცა ხმალშემართული უკომპრომისოდ ებრძოდით ქრისტეს მტრებს, ერის სიწმიდის, ზნეობის მტრებს. თქვენთვის დუმილი უცხო იყო. უკეთურთ, ვინც უნდა ყოფილიყო, დაუნდობლად ამხელდით. მოენატრა ერს თქვენი მართალი სიტყვა. თქვენ უზადოდ უყვარხართ საზოგადოებას. ქართველი ხალხი დღესაც მის გვერდით მოგიაზრებთ. თქვენ მაშინ ებრძოდით საქართველოს მოღალატეებს, როცა ერს თუ ბერს ეძინა, არა უწყოდენ, დღევანდელი ყოფიერება რომ ელოდებოდათ.

სააკაშვილის ბანდამ დაამკვიდრა ყოველგვარი სიბილწე, ერს მაცოცხლებელი არტერია გამოაცალა თქვენი სახით. ეს გამყიდველები სიმშვიდეს ვერ ჰპოვებენ, მათ ნათელი ბნელად გარდაექცევათ. მართალია, მიწიერ, ფარისევლურ სასამართლოს ემალებიან, მაგრამ ღმერთის საშინელ სამსჯავროს ვერსად გაექცევიან. იქ ორმაგი სასჯელი მიეგებათ ერთი — ერის და სარწმუნოების ღალატისთვის, მეორე — ღვთივბოძებული სიცოცხლის ხელყოფისათვის.

თქვენ ყოველთვის სახელოვანი გურამ შარაძე იქნებით ყველა მოყვასისთვის. თქვენს ღვაწლს, შრომას საუკუნეები იღაღადებენ, ყოველთვის იტყვიან სათქმელს, მით უმეტეს, თქვენს იდეებს თქვენივე შემართებით აგრძელებს თქვენი ქალიშვილი, ქალბატონი რუსუდანი, რომელიც სისტემატიურად ახსენებს თქვენს პიროვნებას ქართველთ და შიშის ზარს სცემს მოღალატეთ.

თბილად გიგონებთ, ბატონო გურამ, პატივისცემით ვიგონებთ ღირსეულ ქალბატონს სვეტლანას, ვაჟიშვილებს: ლაშას, გიორგის.

მათი არს სასუფეველი ცათა.

ქრისტესმიერი მოგონებით

გლდანის ივერიის
ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი
მამა ბასილი
(მკალავიშვილი)
დეკანოზი
მამა ვახტანგ (მარგიანი)
მრავალრიცხოვანი მრევლი

არნო ხიდირბეგიშვილი:

დასავლეთი თბილისს აიძულებს, რაც შეიძლება მალე აღიაროს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რათა საქართველო ნატოში მიიღონ!

წარმომადგენლობითი დელეგაცია - ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ამიერკავკასიაში, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარე ევროკავშირიდან ჰერბერტ ზალბერი, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარე ეუთოდან გიუნტერ ბეხლერი, ჟენევის დისკუსიების თანათავმჯდომარე გაეროდან ანტი ტურუნენი და კიდევ ორი ევროპელი დიპლომატი 2017 წლის 16 - 18 მაისს ვიზიტით იმყოფებოდნენ ცხინვალსა და სოხუმში, ამასთან, სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში ისინი საქართველოს კი არა, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან მოხვდნენ, რაც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით დანაშაულია და ისჯება 3 000 აშშ დოლარამდე ოდენობის ჯარიმით ან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით.

აფხაზეთში ჟენევის დისკუსიების

თანათავმჯდომარეები ევროკავშირიდან, გაეროდან და ეუთოდან, მათივე სიტყვებით, „თავიანთ კოლეგებს“ შეხვდნენ - აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დაურ კოვეს და აფხაზეთის ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, რომლებსაც მადლობა გადაუხადეს შესაძლებლობისთვის, საკონტროლო-სასაზღვრო პუნქტ „ენგურზე“ მდგომარეობას გაცნობოდნენ: „დიდი მადლობა გუშინდელი დღისთვის, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა, გალის რაიონის ნაწილში ვითარებას გავცნობოდით. ვნახეთ საზღვრის გადაკვეთის დახურული პუნქტები, გვქონდა საუბრის შესაძლებლობა. ეს სასარგებლო მგზავრობა იყო“, - განაცხადა ჰერბერტ ზალბერმა და „აფხაზი კოლეგები“ დაარწმუნა, რომ „ყველა ღონეს იხმარს“, რათა 2017 წლის 20-21 ივნისს, ამიერკავკასიაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მე-40 რაუნდზე „ქართული მხარე“, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდეს განცხადების გაკეთებას და „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ დოკუმენტის ხელმოწერას.

ცხინვალში კი ჰერბერტ ზალბერმა სამხრეთ ოსეთის ახლად არჩეულ ლიდერს ანატოლი ბიბილოვს წარმატებით ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება მიულოცა: „პირველ რიგში, მინდა მოგილოცოთ არჩევნების შედეგი, რომელიც აქ ამასწინათ ჩატარდა და მოგილოცოთ ამ თანამდებობაზე მუშაობის დაწყება, ამ ძალიან მნიშვნელოვან თანამდებობაზე, რომელიც ახლა გიკავიათ“, - განაცხადა ზალბერმა და კმაყოფილებით აღნიშნა - „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა ჟენევის დისკუსიების მიმართ რესპუბლიკის ინტერესი დაადასტურა“.

ერთი კვირით ადრე რუსი ტურისტი იური ლუჟკოვი, რომელიც საქართველოში თავისი და ქართული წარმოშობის რუსი მილიარდერების ფულის დაბანდების მიზნით ჩამოვიდა, პერსონა ნონ გრატად მხოლოდ სიტყვების გამო გამოაცხადეს - იმის გამო, რომ „კეპკამ“ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება გვირჩია, „რომელთა გარეშე საქართველოს ცხოვრება მაშინვე გაუადვილდება“, თუმცა მოსკოვის ყოფილი მერი საქართველოს ტერიტორიაზე სომხეთიდან შემოვიდა და არანაირი კანონი არ დაურღვევია.

მაგრამ ჰერბერტ ზალბერს და ზემოაღნიშნული დელეგაციის სხვა წევრებს პასუხისგებაში არ მისცემენ, არ დააჯარიმებენ, ციხეში არ ჩასვამენ, ლუჟკოვივით პერსონა ნონ გრატად არ გამოაცხადებენ და მომავალში საქართველოში შემოსვლას არ აუკგრძალავენ, ჟენევის დისკუსიებს არ ჩამოაშორებენ, თავისი სიტყვების დეზავუირებას არ მოსთხოვენ და ბოდიშსაც კი არ მოახდევინებენ, იმიტომ რომ ყველა მათი ქმედება წინასწარ იყო ცნობილი საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისთვის - პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის და საგარეო საქმეთა მინისტრისთვის (რომლებიც დღეს სწორედ ამიტომ დუმან საყოველთაო პროტესტის ფონზე!), ასევე, შეთანხმებული იყო ევროკავშირის, ეუთოს, გაეროს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელობასთან.

ჩემი ინფორმაციით, ევროპის წამყვანი ქვეყნების, კერძოდ - გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებებმა გააქტიურეს დიდი ხნის წინ დაწყებული საიდუმლო პროექტი - საქართველოს იძულება, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მისგან განცალკევებულ სახელმწიფოებად აღიაროს. გასაიდუმლოების მიუხედავად, ამის შესახებ ინფორმაციამ, როგორც ჩანს, სოხუმიდან და ცხინვალიდან მოსკოვამდე გაჟონა, ამიტომაც გახდა ის ცნობილი ლუჟკოვისთვის, რომელიც, გამოდის, საქართველოს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე შემთხვევით კი არ მიანიშნებდა, არამედ ამისთვის მყარი საფუძველი ჰქონდა!

საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლა ადრეც ხორციელდებოდა, მაგრამ პრეზიდენტებმა შევარდნაძემ და სააკაშვილმა ასეთ რამეს ხელი არ მოაწერეს თავიანთი მყიფე მდგომარეობის გამო - ქართველი ხალხი ვერ გაგვიგებსო, და ეს ჭეშმარიტებასთან ახლოს იყო. მაგრამ ბოლო ხანებში მუშაობა აჩქარებული ტემპით განახლდა, რასაც საფუძვლიანი მიზეზები აქვს, მაგალითად:

- აშშ-ის ახალი პრეზიდენტის მეგობრული პოზიცია რუსეთის მიმართ. დონალდ ტრამპმა უარი თქვა სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე „ფერადი რევოლუციების“ პოლიტიკაზე და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში აშშ-ის ჩარევაზე;

- ქართველი ხალხის მიერ ყოველდღიურად სულ უფრო ხმამაღლა გამოხატული ნება რუსულ-ქართული ურთიერთობის სრული მოცულობით აღდგენასთან და დღევანდელი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ „უალტერნატივო ევროატლანტიკურ კურსზე“ უარის თქმასთან დაკავშირებით, რასაც ამერიკული ინსტიტუტების IRI-სა და NDI-ს გაყალბებული სოციალური გამოკითხვებიც კი იძულებით აფიქსირებს;

- საქართველოს მიერ მჭიდრო პარტნიორული და სავაჭრო ურთიერთობის დამყარება რუსეთის ფედერაციის სტრატეგიულ პარტნიორებთან - ირანთან და ჩინეთთან, რაც რუსეთის მონაწილეობით საერთო პროექტებში საქართველოს ავტომატურად ყოფნის გარანტიაა.

დასავლეთში შეეშინდათ, რომ თურქეთისა და აზერბაიჯანის შემდეგ, რომლებმაც პირი რუსეთისკენ იბრუნეს, ევროპას კი ზურგი უჩვენეს, მათ, შესაძლოა, საქართველოც დაკარგონ - უკანასკნელი სტრატეგიული ფორპოსტი რეგიონში, შავი ზღვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის ერთადერთი უდავო პარტნიორი, სატრანზიტო ტერიტორია „აბრეშუმის დიდი გზის“ მარშრუტზე, რომელზეც გადის სტრატეგიული მილსადენები და სატრანსპორტო მაგისტრალები, რომლებიც აღმოსავლეთს დასავლეთთან აკავშირებს, ჩრდილოეთს - სამხრეთთან, აზიას - ევროპასთან, „კავკასიის გასაღები„ გასასვლელებით კასპიის ზღვაზე, ახლო აღმოსავლეთზე და

რუსეთის საზღვრებზე სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამიტომ მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საქართველო სასწრაფოდ შეათრიონ ნატოში, რაც შეუძლებელია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მისაღები სახელმწიფოს საზღვრების დელიმიტაციის გარეშე. ამიტომ დასავლეთისთვის უკვე ხელსაყრელი აღარ არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება - ანუ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, სადაც რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული, საქართველოს ტერიტორიად ჩათვლა, რადგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე საქართველო-რუსეთის საზღვრის დემარკაცია ცნობილი მიზეზების გამო შეუძლებელია.

და კიდევ იმიტომ, რომ ნატოს წესდების მე-5 პარაგრაფი კრძალავს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში მოუგვარებელი შიდატერიტორიული პრობლემების მქონე სახელმწიფოს მიღებას. აი, კიდევ რატომ არის აუცილებელი, აიძულონ საქართველო, უარი თქვას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე, რომლებსაც ნატოში შესვლა არ უნდათ, და თბილისში მჯდომი ხელისუფლება ნატოში საქართველოს სწრაფად და ადვილად მიღებით აცდუნონ! „გამარჯვებულებს კი არ განსჯიან„ - მერე წავა ინსინუაციები: „ჩვენი მთავრობის წყალობით საქართველომ ვიზალიბერალიზაცია მიიღო, დღე-დღეზე კი ნატოს წევრი გახდება! დიახ, ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლია სოხუმსა და ცხინვალში ჩასვლა, სამაგიეროდ, პარიზსა და ბერლინში დავდივართ! ახლა საქართველოს არმია ნატოს მეგობრულ ოჯახში მოძლიერდება და პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში, როცა პუტინი პრეზიდენტი აღარ იქნება, ნატოს დახმარებით აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავიბრუნებთ!“.

მაშ ასე, ფორმულა „საქართველო მინუს აფხაზეთი და სამაჩაბლო უდრის საქართველო პლუს ნატო„ ამოქმედებულია! აი, თურმე, რატომ კეთდებოდა სოხუმსა და ცხინვალში შეხვედრებზე გამუდმებით განცხადებები ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის აუცილებლობაზე: „საჭიროა, შეიქმნას იურიდიული დოკუმენტი, რომლითაც მხარეები ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულებას იკისრებენ“, - განაცხადა ჰერბერტ ზალბერმა, თუმცა ღიად არ დაუზუსტებია - რომელ მხარეებზეა ლაპარაკი? ევროპელი დიპლომატების წარმომადგენლობითმა დელეგაციამ მშვენივრად იცოდა, რომ საქართველო არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, და რომ 08.08.08 ომის შემდეგ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოსგან მათთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებას მოითხოვენ, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტებთან. მაგრამ საქართველო მზად არის, ასეთ ხელშეკრულებას ხელი მხოლოდ რუსეთთან მოაწეროს, რომელიც უარს ამბობს, იმიტომ რომ თავს კონფლიქტის მხარედ არ მიიჩნევს. აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ხელშეკრულების ხელმოწერა კი საქართველოს მიერ მათი საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტებად აღიარების ტოლფასია - ანუ ცალკე სახელმწიფოებად, რომელთა დამოუკიდებლობა უკვე აღიარეს რუსეთის ფედერაციამ, ნიკარაგუამ, ნაურუმ, ვენესუელამ, ვანუატუმ და დონეცკის თვითგამოცხადებულმა სახალხო რესპუბლიკამ.

თუკი დასავლეთის ზეწოლით საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ან საქართველოს დღევანდელი მთავრობა, რომელსაც დასავლეთში შემთხვევით არ უწოდებენ „გარდამავალს“, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ და ამით მათ დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებენ, მაშინ მათ არა მარტო გადადგომა, არამედ ემიგრაციაში გაქცევა მოუწევთ! საქართველოს კი აღარ ექნება ფორმალური მიზეზი, არ აღადგინოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან, არ შეხვდეს რფ-ის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და არ აღადგინოს ამიერკავკასიის სარკინიგზო ხაზის სოხუმი-თბილისი-ერევანის მონაკვეთი, ყოველთა სომეხთა დიდად სასიხარულოდ.

არნო ხიდირბეგიშვილი
„საქინფორმის“
მთავარი რედაქტორი

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

უძველესი კოლხური ტომები? 42-ე განედი იაპონელი აინები

ჩრდილოეთ იაპონიაში, კუნძულ ჰონსიუსა და ჰოკაიდოზე ცხოვრობენ უძველესი ტომები, აი(ა)ნები, რომლებიც ენითა და ფიზიკური მონაცემებით სრულიად განსხვავებულები არიან შორეული აღმოსავლეთის მონღოლოიდური რასისგან. აიანები, ათასწლეულების შემდეგაც მხარბეჭიანი და ახოვანნი არიან და არ აქვთ მიღებული მონღოლოიდური რასისთვის დამახასიათებელი თვალის ჭრილი და პირი-სახე.

მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ აინების წარსულს, მათ ისტორიას, ენის თავისებურებას; აინტერესებთ, საიდან მოვიდნენ იქ, სადაც არიან, მაგრამ მხოლოდ ის არის გარკვეული, რომ აი(ა)ნები იაპონიის კუნძულების იმ რეგიონი ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის, 42-ე განედზე. მეცნიერებმა ზუსტად ვერ დაადგინეს საიდან მოვიდნენ აი(ა)ნები, მაგრამ ის კი დადასტურებულია, რომ როდესაც იაპონელები გადავიდნენ კუნძულებზე, აინები დიდი ხნის დასახლებულები იყვნენ. მხოლოდ ისაა გარკვეული, რომ აი(ა)ნები იაპონიის კუნძულების იმ რეგიონებში ცხოვრობენ, სადაც ივერთა გადაადგილების გზა გადის, ანუ ჩრდილოეთ განედის 42-ე გრადუსზე — კოლხეთი (საქართველო) იყო (არის) ამ განედზე და გადაადგილებაც ამ განედზე ხდებოდა.

აი(ა)ნებს იაპონელები „ია-ს“ (ა-ია) უწოდებენ, თუმცა არ უყვართ მათზე საუბარი იმ მარტივი მიზეზით, რომ სხვა რასა მათზე ადრე სახლობდა ამ ადგილზე ჯუჯა ერთან ერთად. აი(ა)ნებში ოჯახის უფროსად მამაკაცი ითვლება, მაგრამ მთლიანობაში ქალი და მამაკაცი თანსწორუფლებიანები არიან. საინტერესოა, რომ აი(ა)ნის თავსამკაული არსით თუთანჰამონის თავსარქმელის მსგავსია...

2011 წლის ოქტომბერში რუსეთის ტელეარხმა „ნტვ-მ“ ვრცელი გადაცემა მიუძღვნა იაპონელ აი(ა)ნებს, რომელთა რაოდენობა იმ დროისთვის ოცი ათას სულზე მეტი იყო. ითქვა, რომ დადასტურებულია თავდაპირველი აი(ა)ნების სახლობა 12 000 წლის წინ სახალინზე რომლებიც შემდგომში მეზობლებს შეერივნენ. რუსი მკვლევარების მტკიცებით, აი(ა)ნები კოლხური წარმოშობის უძველესი ტომია.

მეცნიერებმა ვერ გახსნეს აი(ა)ნების ენის საიდუმლოც, მხოლოდ ის ითქვა, რომ წააგავს ბასკურ ენას. ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა პელოპლედევსკიმ და ბასკოლოგმა ზიცარმა გასული საუკუნის 70-იან წლებშივე წამოაყენეს მოსაზრება, რომ „აიანი“ ძალიან ჰგავს ძველი კოლხეთის სახელს, „აია-ს“, ხოლო ხალხი აია-დან: აიანები, აია-ნებისგან, აია-ნელები არიან...

როგორც მეცნიერები განმარტავენ, აი(ა)ნების კულტურა განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა, თუმცა შემდგომში რაღაც ისეთი მნიშვნელოვანი მოხდა, რომ აბსოლუტურად უკან დაიხია. აი(ა)ნების ლეგენდა ამბობს, რომ ისინი ამ ადგილზე მრავალი ათასი წლით ადრე ცხოვრობდნენ, სანამ „მზის ხალხი“ მოვიდოდა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ აი(ა)ნები იმავე პრეისტორიული ხალხის შთამომავლები არიან, რომელთაგანაც ასევე წარმოიშვა ავსტრალიის მკვიდრი მოსახლეობა, თუმცა მათი პირდაპირი კავშირი რომელიმე ხალხთან დიდად არც არავის გამოუკვლევია, ფაქტობრივად, მხოლოდ იმით იფარგლებიან რომ აი(ა)ნებს აქვთ საკუთარი, სხვებისგან განსხვავებული კულტურა, ენა, რელიგია და ანთროპოლოგიურად მნიშვნელოვნად განსხვავდებიან მეზობლებისგან.

აი(ა)ნების მიწაზე მონღოლოიდური ტომების შეჭრას ისეთივე შედეგი მოჰყვა მათთვის, როგორც ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ინდიელებს. XVII საუკუნის დასაწყისში მოხდა მათი იძულებითი ასიმილაცია, იქცნენ ნაციონალურ უმცირესობად, მათი ენა გამოცხადდა კანონგარეშედ და აეკრძალათ სახელმწიფოს მინიჭებული მიწების გარდა სხვა ადგილზე მიწათმოქმედება. ამის გამო აი(ა)ნები მალავდნენ წარმოშობას და მათი დიდი უმრავლესობა წმინდა წარმომავლების აღარც არის, ანუ 10-20% ნამდვილი აი(ა)ნიღაა დარჩენილი.

სწორედ იაპონელების სასტიკ მოპყრობას გაექცა აი(ა)ნების ნაწილი სახალინისა და კურილიის კუნძულებზე. 1777 წელს ირკუტსკელმა ვაჭარმა დიმიტრი შებალინმა გაურკვეველი მოტივით რუსეთში ჩამოასახლა 1500 აი(ა)ნი, რომლებიც რუსებისგან დაცვას ელოდნენ. იაპონელებისთვის აი(ა)ნების მსგავსად დიდთვალება რუსები იმდენად ერთიმეორის მსგავსი აღმოჩნდა, რომ თავდაპირველად რუსებს „წითურ აია(ა)ნებს“ ეძახდნენ.

„უცნაური“ და გაურკვეველი წარმოშობის უძველესი „რაღაც“ ტომები მსოფლიოს თითქმის ყველა მხარეშია აღმოჩენილი, რომელთაც არავისთან და არაფერთან აქვთ რაიმე მსგავსება, თუმცა ბევრი რამ დღევანდელი ქართველისთვის სრულებით არ არის უცხო. ვთქვათ, ჩიჩილაკი, რომელსაც აი(ა)ნები ტირიფის ხის ტოტისგან თლიან, სახლის აღმოსავლეთ მხარეს ამაგრებენ და ლოცულობენ; ან ყაბალახი, სიტყვები, გვარ-სახელები, ტოპონიმები და ა.შ

სხვათაშორის, აი(ა)ნებივით კოლხური წარმოშობისად მიიჩნევიან კამბოჯელი კხამერები, რომელთაც გამორჩეულად ანადგურებდნენ „კომუნიზმის მშენებელი“ ჩინელები. კამბოჯელი მმართველები არ ინდობდნენ კხამერებს, რადგან აშკარა იყო, რომ ისინი სხვა რასას წარმოადგენდნენ და კაცმა არ უწყოდა როგორ და რანაირად აღმოჩდნენ მათი წინაპრები კამბოჯაში...

42-ე განედი, როგორც ივერთა გადაადგილების გზა კიდევ შეგვახსენებს თავს...

აინი

კოლხები აღდგომის კუნძულზე

1722 წელს ჰოლანდიელმა მოგზაურმა, ადმირალმა როგვენმა წყნარ ოკეანეში შემთხვევით აღმოაჩინა ვულკანური წარმოშობის კუნძული, რომელსაც „აღდგომის კუნძული“ უწოდა. იმ დროს კუნძულზე 4000-მდე ადამიანი ცხოვრობდა და პირველყოფილი თემური ურთიერთობის დაშლის საფეხურზე იმყოფებოდნენ.

XIX საუკუნეში პერუელმა და სხვა კოლონიზატორებმა გაჟლიტეს კუნძულის მოსახლეობა და მოსპეს მათი კულტურა, მაგრამ მაინც დარჩა მნიშვნელოვანი „რაღაც“, ქვის ვებერთელა ქანდაკებები და იეროგლიფური დამწერლობა რომელიც დღემდე გაუშიფრავია.

ორი საუკუნის შემდეგ (1955-1956 წწ) კუნძულს ნორვეგიელი მეცნიერი ტედ ჰეიდრალის 25-კაციანი ექსპედიცია მიადგა იმის გასარკვევად, ვინ იყვნენ ყველა მატერიკისგან დაშორებული კუნძულის პირველმოსახლეები და ვინ შექმნა გრანდიოზული ქვის ქანდაკებები.

ექსპედიციამ გამოიკვლია 400-ზე მეტი გოლიათური ქვის ქანდაკება (მათი რიცხვი 900-მდეა და განსხვავებულია არა მხოლოდ მასალით, ორნამენტითაც და სხვა თავისებურებითაც) რომლებიც ქვისავე პედესტალებზე იდგნენ. მათი სიმაღლე 8-10 მეტრია. მიწაზე დაგდებული ყველაზე დიდი ფიგურის სიმაღლე 21 მეტრს აღწევდა, წონა — 270 ტონა. „გოლიათებს“ თავზე ადგამდნენ ვულკანური წარმოშობის ქანებით ნაკეთ განსხვავებულ, მოწითალო ქუდს, რომლის წონა ორიდან ათ ტონამდე აღწევდა; მოცულობით ექვსი კუბური მეტრი პუკაოს, ხოლო თვალების ადგილზე ბუდეებს ობსიდიანი ან მარჯანი ამშვენებდა.

აღდგომის კუნძულის მცხოვრებლებმა ექსპედიციის წევრებს აჩვენეს ჰოტუ მატუას (მატუა — მეგრული გვარი) სახლი და სიყვარულით უმღეროდნენ სტუმრებს: ო, გოგო, ტე ტერე ტე ვაკა ტა ჰოტუ მატუა...“ ნორვეგიელი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მეფე მატუას უძველეს სადგომში ჩანდა ოდინდელი სიდიადის კვალი, მაგრამ მისთვის უცხო იყო როგორც ნამღერი, ისე ქვის გიგანტური ქანდაკებების ასევე გიგანტური თავსაბურავები, ყაბალახი (პუკაო), რომელიც მეგრელთა თავსამკაულია...

16 საუკუნის შემდეგ აღდგომის კუნძულის მცხოვრებლების ნამღერი ანაკენაში, სამწუხაროდ, ნორვეგიელ მეცნიერს არაფერს აძლევდა იმისთვის რომ მცირედით მაინც გარკვეულიყო თუ რომელი ეროვნების იყო ჰოტუ მატუა.

კუნძულის მცხოვრები ჰეიდრალს გაეცნო როგორც ლეგენდარული პირველი თეთრკანიანი მეფის, ჰოტუ მატუას მემკვიდრე — ეს მიწები მუდამ ჩვენს გვარს ეკუთვნოდაო. მოსაუბრეთა შორის იყო ვინმე ხათაც. ხათა, ხოთო — მეგრული სახელებია...

გაოცებულმა ჰეიდრალმა დაწერა („აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“): უპირველესად გამაოცა იმან, რომ საოცრად მოგვაგონებდა ინკებისდროინდელი პერიოდის კოლონა-ქანადკებებს, რომლებიც ანდებზე გვხვდება... ხალხს, რომლებსაც ჯერ თავი არ გამოეჩინათ კულტურის სხვა სფეროებში, როგორ მოხდა, რომ მოეცა ესოდენ გენიალური ინჟინრები და მხატვრები? როგორ შეძლეს ქვის ერთიანი მონოლითების გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, აღმართზე ატანა და აღმართვა, როცა არ იყო ამწეები, მანქანები, კუნძულზე კი ტყე არ არის... ინკების მშენებლობის კულტურა კუნძულზე შეიტანა იმ კულტურულმა ხალხმა, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი კუნძულზე...“ კი, მაგრამ ინკებში (მაია, აცტეკები) ვინღამ შეიტანა?

კლიმენტი შელია: — „აქ გასაოცარი არაფერია, რადგან ინკებში, აცტეკებსა და მაიას ტომებში შეიტანეს ცივილიზაცია კოლხ-პელაზგების, იბერია-მეგრელების წარმომადგენლებმა. აღნიშნულ პერიოდში იბერთა თაოსნობით ამერიკის კონტინენტზე, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე იქმნება აცტეკების, მაიასა და ინკების კულტურები და დიდი ცივილიზაციები. იბერთა პროექტებით იქმნებოდა გიგანტური ნაგებობები: ტაძრები, ქანდაკებები, საირიგაციო სისტემები. რევაზ ერისთავი ხაზგასმით მიუთითებს, რომ იბერები უძველეს დროში გადაადგილებას იწყებდნენ და ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვლეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის კონტინენტები. კოლხები მეტალურგიულ საქმიანობას ეწოდნენ (რკინა-ფოლადს ადნობდნენ) კანადის ხუთი ტბის რაიონში 42-ე პარალელზე...“

ექსპედიციამ კუნძულის მცხოვრებლების გამოქვაბულებში ნახეს წინაპრების დანატოვარი ძვირფასი ნივთები, პატარა, წარწერებიანი დაფები, ულამაზესი პატარა ქანდაკებები... კუნძულზე აღმოჩნდა მოკირწყლული გზები რომლებიც პირდაპირ ზღვაზე ჩადიოდა...

ნაპოვნია 11-კილომეტრიანი მიწისქვეშა დერეფანი, რომელიც კუნძულს სხვადასხვა გზით უკავშირდებოდა. არსებობს ვარაუდი, რომ ამგვარი გვირაბებით ერთმანეთთან რამდენიმე კუნძული იყო დაკავშირებული...

ადგილობრივების გადმოცემით, პირველ მეფეს, მატუას კუნძულზე ჩამოუტანია 67 ხის დაფა ტექსტებით. 25 ხის დაფა 14 000 სხვადასხვანაირ იეროგლიფს მოიცავს. სპეციალისტების დასკვნით, აღნიშნულ დამწერლობაში დაახლოებით 120 საბაზო ელემენტია რომელთა კომბინაცია 1500-2000 სიმბოლოს ქმნის.

ადამიანები წვერითა და ინკური ცხვირით, საიდან მოვიდნენ? — კითხვა დასვა ჰეიდრალმა, მაგრამ პასუხი ვერავინ გასცა, რომ „ინკური ცხვირი“ ჩვეულებრივი ქართული, არწივისებური ცხვირია...

ყაბალახიანი ძეგლები

(გაგრძელება იქნება)

რისკის ზონა - „მკვლელი“ კოსმეტიკა

(გაგრძელება, დასაწყისი. იხ. „სგ“ N18)

ვაგრძელებთ საუბარს ბატონ რამაზ გახოკიძესთან, რომელმაც „საერთო გაზეთს“, ამჯერად, „მავნე“ ტანსაცმლის და კოსმეტიკიდან მომდინარე საფრთხეებზე ესაუბრება:

— ბატონო რამაზ, ახლა კოსმეტიკით გამოწვეულ საფრთხეებზე გადავიდეთ. არ მეგულება ქალი, რომელიც კოსმეტიკურ საშუალებებს არ ხმარობს. რა საფრთხეს უქმნის ეს ჩვენს ჯანმრთელობას?

— არც ისე დიდი ხნის წინ თავისუფალი გაყიდვიდან ამოიღეს გამაახალგაზრდავებელი კრემი, რომელსაც ცნობილი შვეიცარიული კომპანია აწარმოებდა. კრემი მაღალეფექტიან ანტიოქსიდანტს — კარნოზინს შეიცავდა, რომლის უკონტროლო გამოყენება კანის კიბოს იწვევს. სამწუხაროდ, ეს ერთადერთი პროდუქტი როდია, რაც აშშ-სა და ევროპაში აიკრძალა. ასევე, აკრძალეს წამწამების ზრდის კოსმეტიკური საშუალება. იგი ბიმატოპროსტს შეიცავდა, რაც თვალის წნევას ამცირებს. მისი გამოყენება თვალის ბადურის სიმსივნეს და სიბრმავეს იწვევს. ძველად ქალბატონები მათეთრებელ საშუალებებს იყენებდნენ, რომლებიც სულემას, ციანწყალბადმჟავას და სხვა ძალიან საშიშ ნივთიერებებს შეიცავდა, ხოლო ფერ-უმარილისა და პომადის დასამზადებლად ალქიმიკოსები კინოვარს — გოგირდოვან ვერცხლისწყალს იყენებდნენ, რომელსაც ორგანიზმში დაგროვების უნარი ახასიათებს. სწორედ ამ ნივთიერებამ იმსხვერპლა პეტრე I-ის ასული. აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად ქალის ორგანიზმში, დაახლოებით, 3 კილოგრამი კოსმეტიკა — პომადები, კრემები, ნიღბები, თმების და ფრჩხილების აქროლადი ლაქები ხვდება. მაგალითად, ფრჩხილების ლაქი ალერგიულ რეაქციებს, კიბოს უჯრედების ზრდის პროვოცირებას, ფეხმძიმე ქალებში კი ნაყოფის სიმახინჯეებს იწვევს. აცეტონი კი იწვევს ნარკოტიკულ ზემოქმედებას, იწოვება შესუნთქვით, კანით, კვების არხით, სისხლით გადადის ტვინში, ღვიძლში, თირკმელებში, გულში. შეისწავლეს 4 პოპულარული ფირმის — „ლორიალის“, „სებორას“, „ნივეასა“ და „ვიჩის“ კოსმეტიკურ პროდუქტებში მძიმე მეტალების შემცველობა. აღმოჩნდა, რომ ისინი შეიცავდნენ: ნიკელს (100%), ტყვიას (96%), ბერილიუმს (90%), ასევე, დარიშხანს და კადმიუმს, რომლებიც ორგანიზმში ხანგრძლივი დროის განმავლობაში გროვდება. შემოწმებული 50 პომადიდან უვნებელი მხოლოდ 14 აღმოჩნდა, უმრავლესობა ნავთობპროდუქტებს, ხოლო ნახევარზე მეტი ტყვიას შეიცავდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ნიკელის ნაერთები კოორდინაციის მოშლას, სუნთქვის დარღვევას, ალერგიულ რეაქციებს, ანემიას, ცენტრალური ნერვული სისტემის აგზნებას იწვევს. დარიშხანი მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა, რაც ნერვულ დაავადებებს, ფსიქოზებს, პარალიჩს, საერთო სისუსტეს, მეხსიერების დარღვევებს, ანემიას იწვევს, აზიანებს თირკმლებს და ღვიძლს. ასევე, ტოქსიკურია ბერილიუმი, რაც იწვევს ძვლების დაშლას, საერთო სისუსტეს, აზიანებს ღვიძლს. არანაკლებ მავნეა ტყვია და კადმიუმი.

— რამდენად უსაფრთხოა თმის საღებავები, რასაც ქალბატონების საკმაოდ დიდი პროცენტი მოიხმარს?

— ტყვია რომელიც ახლახან ვახსენე, ასევე, გამოიყენება თმის საღებავებში და ზოგიერთ კრემში, რომელსაც თვალის ირგვლივ ნაოჭების გასასწორებლად ხმარობენ. თმის საღებავის უმრავლესობა ამიაკს შეიცავს. ასეთი საღებავები მავნეა, რადგან იგი თმის სტრუქტურას შლის. ამიაკს შეუძლია გამოიწვიოს თვალის, ცხვირის ლორწოვანი გარსის და სასუნთქი გზების გაღიზიანება. უამიაკო საღებავი კი თმას არ აზიანებს, უსაფრთხოა, მაგრამ არამდგრადი — დაბანვით ირეცხება. ზოგადად, მწარმოებლებს ადამიანის ჯანმრთელობა ნაკლებად ადარდებთ. მათთვის ტექნოლოგიურად უფრო ხელსაყრელია პომადები არა ნატურალურ ზეთებზე, არამედ სინთეზურ ნივთიერებებზე და ნავთობპროდუქტებზე დაამზადონ. ტექსასის სამედიცინო ცენტრში ბავშვთა ენდოკრინული ანომალიების შესახებ გამოკვლევები ჩატარდა. მაგალითად, ერთი წლის გოგონას მეორადი სასქესო ნიშნები განუვითარდა. აღმოჩნდა, რომ ჩვილი ბავშვების დასაბანად მშობლები იყენებდნენ საბავშვო შამპუნებს, რომლებიც დიდი რაოდენობით სასქესო ჰორმონებს შეიცავდა. ეპილაციისთვის ტკივილგამაყუჩებელი კრემის გამოყენებით კი რამდენიმე ამერიკელი გოგონა გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ აღნიშნული კრემი 10% ლიდოკაინს და 10% ტეტრაკაინს შეიცავდა. ეს ნივთიერებები ორივე ტოქსიკურია და მათი ერთად გამოყენება დამღუპველი აღმოჩნდა. მრავალ კოსმეტიკურ პროდუქტში შემავალი ინგრედიენტები — ფტალატები და პარაბენები საშიში აღმოჩნდა ჯანმრთელობისთვის. ისინი კანთან კონტაქტისას უარყოფითად მოქმედებენ ღვიძლზე, თირკმლებზე, იწვევენ ალერგიულ რეაქციას, აღიზიანებენ კანს, ასუსტებენ დაცვით ფუნქციებს და სარძევე ჯირკვლის კიბოს გამოწვევა შეუძლიათ. ფტალატები აქვეითებს მამაკაცის ძირითადი ჰორმონის — ტესტოსტერონის გამოყოფას. რაც შეეხება პარაბენებს, ნავთობისგან მიღებული კონსერვანტებია, რომლებიც ორგანიზმში გროვდება, შლის ფერმენტებს და ცოცხალ უჯრედებს, არღვევს ჰორმონულ წონასწორობას. აქვე უნდა გითხრათ, რომ ასაქაფებელი და კანისა და თმებისაგან ჭუჭყის მოსაცილებელი ნატრიუმის ლაურილსულფატი, რომელსაც მრავალი შამპუნი, კბილის პასტა, შხაპის გელი შეიცავს, ალერგიულ რეაქციებს იწვევს. ყველა ადამიანის თავზე განუმეორებელი „ზოოპარკია“, ამიტომ ქერტლის საწინააღმდეგო ანტიბაქტერიულმა შამპუნმა შესაძლოა ერთს უშველოს, მეორეს კი — არა. ქერტლს მიკრობები იწვევენ, რომლებიც ჩვეულებრივ მცირე რაოდენობით სახლობენ კანზე და იმ ადამიანებზე აქტიურდებიან რომელთაც იმუნიტეტი დაქვეითებული აქვთ. ანტიბიოტიკებმა სენის გავრცელება შეიძლება დროებით ჩაახშოს. ამ დროს გულუბრყვილო მომხმარებელი ახალი, უფრო ძლიერი საშუალების ძებნას იწყებს. ასე შეიძლება უფრო მძიმე დაავადება აიკიდოს და ქერტლისთვის აღარც ეცალოს. აღმოჩნდა, რომ 70% შამპუნში, კოსმეტიკურ პროდუქტებსა და საპნებში შემავალი ფტალატი ენდოკრინული სისტემის მუშაობას არღვევს. სიმსუქნის ეპიდემიაში დამნაშავეა არა მარტო ცხოვრების არაჯანსაღი წესი, არამედ კოსმეტიკაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებებიც. ფტალატებთან ერთად „შავ სიაში“ შევიდა ბისფენოლ-ა, რასაც მრავალი კონტეინერი, პლასტიკური ბოთლები და ბავშვის ჭურჭელიც კი შეიცავს. აშშ-ს ფირმის „**Campaign for safe cosmetics**“ მიერ ჩატარებული ანალიზებით, ბავშვების შამპუნებში კანცეროგენული ნივთიერებები — დიოქსანი და კვატერნიუმ-15 იქნა აღმოჩენილი. დიოქსანი აზიანებს თვალებს, სასუნთქ ორგანოებს, ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ღვიძლს, თირკმლებს. ანტიბაქტერიული დანამატი კვატერნიუმ-15 კი ცნობილი ფირმების მიერ მრავალ კოსმეტიკურ საშუალებაში კონსერვანტად გამოიყენება. სხვათა შორის, ცნობილი ფირმა „ჟოჰნსონ and Johnson~ გარდა კოსმეტიკური საშუალებებისა, სიცხის დამწევ და ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატ იბუპროფენს (მოტრინის სახელწოდებით) უშვებს, რომლის გამოყენებითაც ერთ-ერთ პაციენტს თანამდევი ეფექტი — ალერგიული რეაქცია (დაუზიანდა მხედველობა, ნაწილობრივ დაყრუვდა, დაკარგა სუნის და გემოს შეგრძნება) განუვითარდა, რის გამოც 22 წლის დაზარალებულს ფირმამ 48 მილიონი დოლარი გადაუხადა.

რა უნდა ვიცოდეთ ბიოაქტიური კოსმეტიკის შესახებ

— დღეს მოდაშია ბიოაქტიური კოსმეტიკა, მაგალითად, კრემები რომლებიც ბიოაქტიურ ნივთიერებებს შეიცავს — ადამიანის პლაცენტას, გარეული ცხოველების სპერმებსა და უჯრედებს. ხშირად ისინი შეიცავენ ესტროგენებს — ცხოველური წარმოშობის ჰორმონებს, რომლებიც ადვილად იჭრება კანში, იწოვება სისხლში და შეუძლია გაუთვალისწინებელი ჰორმონული რეაქციის გამოწვევა. ასეთი კოსმეტიკა საშიშია ქალებისთვის, რომელთაც ღვიძლი აწუხებთ და ამაღლებული ესტროგენული ფონი გააჩნიათ ან იყენებენ ჰორმონულ კონტრაცეპტივებს, ასე, სარძევე ჯირკვლების და საშვილოსნოს კიბოს რისკი იზრდება. აქვე გეტყვით, როგორც წესი, დამატენიანებელი კრემები 30-60 კომპონენტს შეიცავს (ემულგატორებს, კონსერვანტებს, არომატიზატორებს), რომელთა უმრავლესობა ხშირად ნავთობისგან სინთეზურადაა მიღებული და ტოქსიკურია. ფრანგი მკვლევარების მონაცემებით, მრავალი ძვირადღირებული კრემიც კი შეიცავს ფენოქსიეთანოლს, რომელიც აზიანებს ღვიძლს, ხოლო ორსულებში შეუძლია მუცლის მოშლის ან ნაადრევი მშობიარობის გამოწვევა.

ვიტამინი კოსმეტიკაში – საფრთხე თუ სასარგებლო?!

— ბატონო რამაზ, ცნობილია რომ ვიტამინები ადამიანის ორგანიზმს აჯანსაღებს. რამდენად ასეა ეს როცა ვიტამინები კოსმეტიკურ საშუალებებში გამოიყენება?

— მოგახსენებთ. მაგალითად, ა, ე და დ ვიტამინების შემცველი მრავალი კრემი, რომელიც დაბერების თავიდან ასაცილებლადაა განკუთვნილი, შეიძლება იყოს როგორც ყოვლად უსარგებლო ისე საშიშიც. ე ვიტამინი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ანტიოქსიდანტია, მაგრამ კანზე წასმით შედეგს არ გვაძლევს. სამაგიეროდ, სასარგებლოა ამ ვიტამინის შემცველი პროდუქტები: ნიგოზი, მწვანილი, მცენარეული ზეთები, კვერცხის გული. რაც შეეხება ა და დ ვიტამინებს, მათ შეუძლიათ ჭარბი რაოდენობით შეწოვა და სერიოზული ინტოქსიკაცია ღვიძლის, თირკმლების, გულის მუშაობის დარღვევა, ოსტეოპოროზის და კიბოს გამოწვევაც კი. ა ვიტამინის სიჭარბემ ორსულ ქალებში შეიძლება ნაყოფის განვითარების დეფექტები გამოიწვიოს. ასე, რომ ვიტამინიზირებული კრემის მოხმარებისას სიფრთხილე გმართებთ! მანდილოსნები ხშირად მოიხმარენ კოსმეტიკურ ნიღბებსაც, რისთვისაც მეტწილად სხვადასხვა ფერის თიხებს იყენებენ. მწარმოებლები ამტკიცებენ, რომ მათი ზემოქმედებით კანი ტენიანდება და სწრაფად ახალგაზრდავდება. სინამდვილეში კი თიხა კიდევ უფრო აშრობს სახეს და გაუცხიმეობას, ახალი ნაოჭების წარმოქმნის პროვოცირებას იწვევს. აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი ფერის თიხა ტოქსიკურია. იგი დიდი რაოდენობით ალუმინის სილიკატს შეიცავს, რაც ხელს უშლის ნაწლავებში საჭირო მიკროელემენტების, მაგალითად, თუთიის შეწოვას, ხშირად შეიცავს ჭიების კვერცხებს.

საშიში ტუშები – მათში შემავალმა ნივთიერებებმა შესაძლოა კიბო გამოიწვიოს!

— თვალის მაკიაჟის განუყოფელი ინგრედიენტია ტუში, რომელსაც ნატურალური ნივთიერებებისგან ამზადებენ, მაგრამ მაინც დაჭუჭყიანებულია მძიმე მეტალებით და საღებავებით, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არა მარტო შეშუპება და ალერგია, არამედ კიბოც. მიუხედავად ამისა ეტიკეტზე ხშირად ნახავთ წარწერას: „არ იწვევს ალერგიას“, „რეკომენდებულია მგრძნობიარე თვალებისთვის“ და ა.შ. განსაკუთრებით საშიშია ტუში, რომლის შემადგენლობაში შედის ბრონოპოლი, ბრონიდოქსი, დიაზოლიდინილი, იმიდაზოლიდინილი, თიომერსალი, თიმერაზოლი.

უვნებელია თუ არა დეზოდორანტები?

— დეზოდორანტები ანუ ანტიპერსპირანტები ადრე ფრეონებს შეიცავდა, რაც შემდეგ აზოტის ქვეჟანგით ან ფეთქებადსაშიშ პროპან-ბუტანით შეცვალეს. ოფლის საწინააღმდეგო დეზოდორანტები ალუმინის ნაერთების შემცველობის გამო უვნებელნი არ არიან. ეს ნივთიერებები ახდენს ოფლის გამომყოფი ჯირკვლების ბლოკირებას. ალუმინის ნაერთები იწვევს ნერვული მოშლილობის პროვოცირებას, ტვინის მუშაობის მოშლას, ალცჰაიმერის დაავადებას. ოფლს სუნი არ აქვს, სუნი აქვს ბაქტერიებს, რომლებიც გაძლიერებულად მრავლდებიან ოფლის გამოყოფისას. დეზოდორანტების ხმარებით თქვენ ორგანიზმში საშიში ნივთიერებები შეგყავთ, რომლებიც იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, შაკიკს და მკერდის კიბოს განვითარების მიზეზიც კი შეიძლება გახდეს.

— ბატონო რამაზ, ახალგაზრდებში ძალიან პოპულარულია ტატუირება. რამდენად უსაფრთხოა იგი ორგანიზმისთვის?

— ტატუირება ჯანმრთელობისთვის საკმაოდ საშიშია, რადგან სვირინგის გაკეთებისას ორგანიზმში შედის ტოქსიკური საღებავი ნივთიერებები, მაგალითად, კანცეროგენული აზოსაღებავები. პიგმენტები რომლებიც სიბნელეში ანათებენ საშიშია, რადგან შეიძლება რადიაქტიური იყოს. შავი ფერის მისაღებად ხმარობენ ტუშს და მურისგან მიღებულ საღებავებს. ნაკლებად ტოქსიკურია ე.წ. ბიოტატუ რომელშიც შავი ფერის მისაღებად იყენებენ ნატურალურ ინას.

ფრთხილად, კბილის პასტამ შეიძლება კატარაქტა დაგმართოთ!

— ყურადღება მიაქციეთ კბილის პასტის შემცველობას. არ შეიძლება იმ პასტის ხმარება, რომელიც ალუმინის ოქსიდს ან ანტიბაქტერიულ დანამატებს, მაგალითად, ტრიკლოზანს შეიცავს. იგი პირის ღრუში მიკროორგანიზმებს ანადგურებს, მაგრამ პათოგენურ მიკროფლორასთან ერთად, ნადგურდება ორგანიზმისთვის სასარგებლო საპროფიტური მიკროფლორაც. ზოგიერთ მწარმოებელს კბილის პასტაში შეაქვს ისეთი ანტიბიოტიკებიც როგორებიცაა მეტრონიდაზოლი და ქლორჰექსინი. ზოგიერთ პასტაში ქაფწარმოქმნის გასაუმჯობესებლად გამოიყენება ნატრიუმის ლაურილსულფატი, რომელიც როგორც ახლახან ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს უმცირესი რაოდენობითაც კი კატარაქტას იწვევს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობს საქართველოს პარლამენტის ფოთის მაჟორიტარ დეპუტატს ირაკლი ხახუბიას ვაჟის ბიჭა ხახუბიას ტრაგიკული გარდაცვალების გამო.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს მწერალ მერაბ შათირიშვილს დედის

ლამარა გაბუნიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ცნობილი მუსიკათმცოდნე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, „საერთო გაზეთის“ ერთგული მკითხველი და მეგობარი, ქალბატონი

იუნონა აფაქიძე

მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იქნება არა მხოლოდ ქართული მუსიკალური ხელოვნებისთვის, არამედ სრულიად ქართული საზოგადოებისთვის.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— რა ითვლება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებად?

თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 თავი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— თავი VIII

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

მუხლი 28. აუცილებელი მოგერიება

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.

2. აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას.

3. ხელმყოფის დაზიანება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფით წართმეული ქონების ან სხვა სამართლებრივი სიკეთის დასაბრუნებლად მართლზომიერია იმ შემთხვევაშიც, თუ ეს მოხდა უშუალოდ ხელმყოფის ხელში ამ სიკეთის გადასვლისთანავე და თუ მისი დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა.

4. აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება ნიშნავს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან.

მუხლი 29. დამნაშავის შეპყრობა

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.

2. დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.

მუხლი 30. უკიდურესი აუცილებლობა

მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი ვინც სხვას დააზიანებს იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ემუქრებოდა თვით დამზიანებლის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა სხვა საშუალებით და თუ დაზიანებული სიკეთე ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ვიდრე გადარჩენილი სიკეთე. მუხლი

31. მართლზომიერი რისკი

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს.

2. რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 32. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სხვა მართლზომიერი ქმედების დროს მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა ამ კოდექსში სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს.

* * *

— ვის მიმართ გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი?

— არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ეს პირი ბრალდებულია / თუ იგი გადახდისუუნაროა/ ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები / განრიდების საკითხი/ვრცელდება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

ყველაზე ხმაურიანი სკანდალები კანის კინოფესტივალის ისტორიაში

მსოფლიოში ბევრი კინოფესტივალი არსებობს, მაგრამ მათ შორის უპირველესი, რა თქმა უნდა, კანია. ამ დღეებში, როგორც ყოველწლიურად, მაისის შუა რიცხვებში 12 დღის განმავლობაში ტარდება ეს კინოფესტივალი. ყველა ელოდება ამ ფესტივალს, სადაც ისეთი ამბები ხდება, რომელთა შესახებაც მთელი წლის განმავლობაში არ წყდება საუბარი. კანის არც ერთი ფესტივალი არ დასრულებულა სკანდალების გარეშე.

ეს ერთადერთი ფესტივალია, რომელზე ჩვენებებზეც ბილეთს ვერ შეიძენ, აქ მხოლოდ მოსაწვევებით შეიგიძლიათ ფილმების ნახვა.

ფესტივალის დღეებში კანი მხოლოდ კინოთი როდი ცხოვრობს. აქ იმართება ხოლმე წვეულებები კრუაზეტის სანაპიროზე, რომელთა შესახებაც ისევე მიკერძოებულად საუბრობენ ხოლმე, როგორც ფილმებზე.

მოდით, სკანდალებს დავუბრუნდეთ, რომელთა გარეშე ასეთი მასშტაბის მოვლენა ვერ ჩაივლის. ყველაფერი პირველივე ფესტივალზე მოხდა – 1939 წლის 1 სექტემბერს, როდესაც მისი გახსნა იგეგმებოდა, მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

წინა წლების სხვა ხმაურიანი სკანდალების რეიტინგი კი შემდეგნაირად გამოიყურება.

რობერტ მიტჩუმის წარუმატებელი წვეულება (1954)

კრუაზეტის სანაპიროზე წვეულებების გამართვა ყოველთვის პოპულარული იყო. აქ ყოველთვის იყვნენ ეგრეთ წოდებული „სტარლეტკები“, გოგონები სრულყოფილი სხეულითა და საეჭვო ტალანტით, რომლებიც ცნობილი კინოვარსკვლავების და პრესის ყურადღების მისაპყრობად ჩამოდიოდნენ. ერთი ასეთი გოგონას ანკესზე წამოეგო 1954 წელს მსახიობი რობერტ მიტჩუმიც. ყველაფერი კარგად იქნებოდა, მაგრამ დილით ყველა გაზეთი მამაკაცის ფოტოებით იყო აჭრელებული — მიტჩუმს ხელებში ეჭირა „სტარლეტკის“ შიშველი მკერდი. მოკლედ, მსახიობი ფესტივალიდან გააგდეს, „სტარლეტკამ“ კი, რომელსაც ზნეობრივი ამერიკელები დევნიდნენ, სამი წლის შემდეგ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ბოიკოტი იზაბელ აჯანის წინააღმდეგ (1983)

თქვენ გგონიათ, რომ წითელი ხალიჩის გმირები ფესტივალის სტუმრები არიან? სულაც არა! თუ თქვენ ფოტორეპორტიორებს არ მოეწონეთ, თქვენს შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობს. 1983 წელს იზაბელ აჯანიმ სერიოზულად გაანაწყენა კანის კინოფესტივალის ფოტოგრაფები. მათ ჩათვალეს, რომ პიკზე მყოფი ვარსკვლავი, რომელმაც თავისი ფილმი ჩაიტანა კანში, მათ დაუდევრად მოექცა — მსახიობი არ გამოცხადდა ფოტოგადაღებებზე, რითიც ფოტოოსტატების განრისხება გამოიწვია. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ წითელ ხალიჩაზე გავლისას ფოტოგრაფებმა ზურგის შეაქციეს იზაბელ აჯანის და ფოტოკამერები ძირს დახარეს.



„გემრიელი“ ტორტი ჯან-ლიუკ გოდარისთვის (1985)

კანის პუბლიკა ბევრჯერ გამხდარა როგორც ცნობილი სახეების, ასევე მაყურებლების უღირსი ქცევის მოწმე. მათ რიცხვს შეიძლება ერთი ამბავიც მივაკუთვნოთ, რომელიც 1985 წელს მოხდა, როცა კინორეჟისორ ჟან-ლიუკ გოდარს სახეში ტორტი ესროლეს. საქმე ის გახლავთ, რომ ერთ-ერთ მაყურებელს სრულიად გაუგებრად მოეჩვენა მისი დრამა „დეტექტივი“ (1985). თუმცა, გოდარი არ დაიბნა: მან გემო გაუსინჯა ტორტს და თქვა, რომ ის ძალიან გემრიელი იყო.

ქვენტინ ტარანტინოს შუა თითი (1994)

ტარანტინო დაჯილდოების ცერემონიაზე სმოკინგისა და „პეპლის“ გარეშე, მაისურით მივიდა. იგი დაცვამ დააკავა. მოგვიანებით, როდესაც „ოქროს რტოთი“ აჯილდოებდნენ მის „კრიმინალურ საკითხავს“, ტარანტინოს სამადლობელი სიტყვა დარბაზიდან ვიღაც ფრანგმა ქალბატონმა შეაწყვეტინა. აღუშფოთებელმა და მომღიმარმა რეჟისორმა მას პასუხად შუა თითი აჩვენა.

ქანის ისტორიაში ყველაზე ცუდი ფილმები (2003, 2014)

კინოფესტივალის პროგრამაში ყოველთვის უჩვენებდნენ პროვოკაციულ ფილმებს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ყველაზე ხმაურიანი სკანდალი მოხდა 2003 წელს. საზოგადოება ძალზე აღაშფოთა ვინსენტ გალოს ფილმმა „ყავისფერი კურდღელი“. რეჟისორს ბოდიშის მოხდა მოუხდა მაყურებლებისთვის საკუთარი ნამუშევრის გამო.

2014 წელს კი სკანდალის ეპიცენტრში აღმოჩნდა ოლივიე დანის ფილმი „მონაკოს პრინცესა“ ნიკოლ კიდმანისა და ტიმ როტის მონაწილეობით. კრიტიკოსებმა ფილმს ყველაზე სულელური ფილმი უწოდეს.

სკანდალური სამოსი (2009, 2010)

კანის კინოფესტივალის დრეს-კოდი მკაცრად რეგლამენტირებულია. ფოტოკორესპონდენტებისა კი სმოკინგები უნდა ეცვათ. ქალების ჩაცმულობა კი ზოგჯერ ძალიან „გულახდილიც“ კი შეიძლება იყოს. 2009 წელს ფრანგი პორნოვარსკვლავი ესტელ დესანჟი ერთ-ერთი ფილმის პრემიერაზე გამოცხადდა კაბაში, რომელიც ოდნავ ფარავდა მის ცნობილ ბიუსტს.

ასევე ნახევრად შიშველი გამოცხადდა მსახიობი ჯული ატლას მუზი საკუთარი ფილმის „ტურნეს“ პრემიერაზე. მას ეცვა გამჭვირვალე კაბა, რომელსაც წითელი ყვავილების ფურცლების დეკორი ჰქონდა და ძლივს უფარავდა მას განიერ თეძოებს.

ლარს ფონ ტრიერის ნაცისტური სკანდალი (2011)

2011 წელს დანიელი რეჟისორი ლარს ფონ ტრიერი კანში საკუთარი ფილმის — „მელანქოლია“ წარსადგენად ჩავიდა. პრეს-კონფერენციის მსვლელობისას შეცდომა დაუშვა, როცა ჰიტლერის მიმართ საკუთარი სიმპათიის შესახებ ღიად განაცხადა. რეჟისორი მაშინვე „პერსონა ნონ გრატად“ გამოაცხადეს და აიძულეს, დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ფესტივალი. თავად ფონ ტრიერმა კი კანაცხადა, რომ ამაყად გრძნობს თავს, პერსონა ნონ გრატად მისი გამოცხადების გამო, რადგან ეს კინოს ისტორიაში პირველად მოხდა.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

სახალხო მკურნალი
(მცენარეული კანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63

საერთო ფაფეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com